		მარჯვ. – 0.5% ბუპივაკ. მარცხ. – ფიზ. ხსნარი (L-NAME-ს ფონზე)	მარჯვ. – 0.5% ბუპივაკ. მარცხ. – ფიზ. ხსნარი (L-NAME+L-არგინინის ფონზე)
პრეპარატების შეყვანამდე	მარჯვენა	69 ± 6.2	70 ± 5.5
	მარცხენა	71 ± 7.7	69 ± 7.5
L-NAME-ს და L-NAME + L-არგ. ი/ვ შეყვანიდან 15 წთ შემდეგ	მარჯვენა	46 ± 5.0	42 ± 5.1
	მარცხენა	44 ± 6.3	40 ± 4.9
ინიექციიდან 5 წთ შემდეგ	მარჯვენა	62 ± 5.1	102 ± 8.9
	მარცხენა	50 ± 5.9	88 ± 5.2
ინიექციიდან 10 წთ შემდეგ	მარჯვენა	56 ± 6.3	117 ± 9.7
	მარცხენა	48 ± 4.7	96 ± 5.4
ინიექციიდან 20 წთ შემდეგ	მარჯვენა	55 ± 7.1	115 ± 9.4
	მარცხენა	46 ± 5.5	92 ± 5.8
ინიექციიდან 30 წთ შემდეგ	მარჯვენა	54 ± 5.3	109 ± 9.8
	მარცხენა	44 ± 6.0	50 ± 6.0
ინიექციიდან 40 წთ შემდეგ	მარჯვენა	51 ± 5.2	90 ± 5.6
	მარცხენა	46 ± 5.7	52 ± 4.1
ინიექციიდან 50 წთ შემდეგ	მარჯვენა	51 ± 6.4	82 ± 4.5
	მარცხენა	50 ± 6.1	55 ± 5.3
ინიექციიდან 60 წთ შემდეგ	მარჯვენა	53 ± 4.9	76 ± 5.0
	მარცხენა	52 ± 5.5	61 ± 5.1
ინიექციიდან 70 წთ შემდეგ	მარჯვენა	55 ± 6.0	74 ± 5.2
	მარცხენა	53 ± 6.2	66 ± 6.0
ინიექციიდან 80 წთ შემდეგ	მარჯვენა	58 ± 8.0	72 ± 6.1
	მარცხენა	57 ± 7.3	68 ± 5.5
ინიექციიდან 90 წთ შემდეგ	მარჯვენა	60 ± 6.8	69 ± 6.2
	მარცხენა	58 ± 5.7	67 ± 6.8





სურ. 1. ადგილობრივი სისხლის ნაკადის ცვლილება ვირთაგვას ღრძილში ბუპივაკაინის (BP), ბუპივაკაინის და ადრენალინის (BP+EP) ინიექციის შემდეგ და ბუპივაკაინის ინიექციის შემდეგ წინასწარ შევანილი L-NAME-ს (L-NAME+BP) და L-NAME-სა და L-არგინინის (L-NAME+L-ARG+BP) ფონზე

### შედეგების განხილვა

ლოკალური ანესთეტიკების თერაპიული აქტიურობის ხანგრძლივობის განსაზღვრის თვალსაზრისით და მათი სისტემური აბსორბციის ხარისხის დასადგენად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ანესთეტიკების ვასკულურ თვისებებს. ვასოკონსტრიქციული აგენტი ადრენალინი, როგორც წესი, ემატება ლოკალურ ანესთეტიკს, რათა მოხდეს მისი მოქმედების გახანგრძლივება და შემცირდეს სისტემური აბსორბციის და, შესაბამისად, ტოქსიკური ქმედების გამოვლენის რისკი.

სხვა ამილური ანესთეტიკების მსგავსად, ბუპივაკაინიც (კლინიკური დოზების გამოყენებისას) ვასოდილატაციას იწვევს, ხოლო მცირე დოზები – ვასოკონსტრიქციას, რაც ნანახი იყო მხოლოდ იზოლირებული გლუვი კუნთების პრეპარატებზე და მოდელურ ცდებში [6, 12]. პირველად, ბუპივაკაინის ეფექტი და ვასოაქტიური მოქმედების ხასიათი ნანახი და შესწავლილი იყო ადამიანის კანზე კლინიკური და სუბკლინიკური დოზების გამოყენებისას და ნაჩვენებია იყო, რომ ეს ამილური ტიპის ლოკალური ანესთეტიკი 0.125-0.75% კონცენტრაციისას იწვევდა დოზა-დამოკიდებულ ვასოდილატაციას, რომელიც, როგორც წესი, დაახლოებით

40 წუთის განმავლობაში ვლინდება, ხოლო დაბალი (სუბკლინიკური დოზები, 0.008-0.031%) იწვევდა უადრესად სუსტ ვაზოდილატაციას და მისი ეფექტი ფიზიოლოგიურ ხსნარზე უფრო დაბალი იყო. ადრენალინის დამატების შემდეგ (1:400000) ყველა შემთხვევაში ვაზოკონსტრიქცია გამოიწვეოდა [7].

ითვლება, რომ ბუპივაკაინი ახდენს ნერვული მემბრანის სტაბილიზაციას და ნერვული იმპულსების გადაცემის ინიციაციის პრევენციას. სტომატოლოგიურ კლინიკაში მისი გამოყენება რეკომენდებულია იმ პაციენტებში, რომლებიც ხანგრძლივ პროცედურებს საჭიროებენ, ვინაიდან ბუპივაკაინით გამოწვეული ანესთეზია თავისი ხანგრძლივობით რამდენჯერმე აღემატება ლიდოკაინით გამოწვეულს და თუ მასთან ერთად ხდება ადრენალინის დამატება, იგი, შესაძლოა, გრძელდებოდეს თითქმის 7 საათის განმავლობაში. აგრეთვე ნაჩიხია, რომ ქსოვილის მგრძობელობის აღდგენის შემდეგ ნაწილობრივ გრძელდება ანალგეზიური ეფექტი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ძლიერი ანალგეზიური პრეპარატების საჭიროებას [13].

დადგენილია, რომ აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბირებით შესაძლებელია ლოკალური ანესთეტიკების ტოქსიკურ ეფექტზე ზემოქმედება, კერძოდ კი იგულისხმება აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექტიური ინჰიბირება ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესთერით [9], რომლის მოქმედების შედეგად (ავტორების მიხედვით) შესაძლებელია ბუპივაკაინის გამოყენებული დოზის მკვეთრი შემცირება (და, შესაბამისად, ტოქსიკური ეფექტის შემცირებაც).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენდა სწორედ აზოტის ოქსიდის როლის დადგენა ბუპივაკაინის ვაზოდილატაციურ ეფექტში და, შესაბამისად, სისხლის ნაკადის ინტენსივობის ცვლილებაზე ინიექციის ლოკალიზაციაში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეყვანილი პრეპარატის აბსორბციის პროცესზე.

ვინაიდან ლოკალური ანესთეტიკების შეყვანა ხდება ფიზიოლოგიური ხსნარის გამოყენებით, ცდების ყველა სერიაში კონტროლის სახით გამოვიყენეთ სუფთა ფიზიოლოგიური ხსნარის ინიექცია ღრძილის მარცხენა მხარეს (იგივე მოცულობით, რაც გამოიყენებოდა საცდელ, მარჯვენა მხარეს) და დავადგინეთ, რომ ასეთი ინიექცია მხოლოდ უადრესად ხანმოკლე და დაბალი ინტენსივობის ადგილობრივ ჰიპერემიას იწვევს, რომელიც სრულდება პირველი 2-3 წუთის განმავლობაში და არ ახდენს რაიმე გავლენას იმ კარგად გამოხატულ ხანგრძლივ ჰიპერემიაზე, რომელიც აღირიცხება ღრძილში ბუპივაკაინის ინიექციის შემდეგ. როგორც ვნახეთ, ადრენალინის დამატებამ მკვეთრად შეამცირა ჩხვლეტასთან დაკავშირებული საწყისი ჰიპერემიული რეაქცია და დაახლოებით ინიექციის მე-5 წუთიდან სისხლის ნაკადის ინტენსივობა ღრძილში საწყის დონესთან შედარებით დაახლოებით 15-20 მლ/100გ/წთ დაკვივოდა. რაც, ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო და სწორედ ამ მიზნით ხდება ადრენალინის დამატება სისხლის ნაკადის ინტენსივობის შესამცირებლად.

ეს კი ამცირებს შეყვანილი პრეპარატის გამორეცხვის ინტენსივობას, აგრძელებს მისი მოქმედების დროს და ასევე ამცირებს პრეპარატის შესაძლო ტოქსიკურ ეფექტს.

ადრენალინის დამატებასთან შედარებით კიდევ უფრო მკვეთრი და იგივე მიმართულების ცვლილება მივიღეთ, როდესაც ბუპივაკაინის შეყვანამდე ცხოველს ინტრავენურად გაეუკეთეთ L-NAME-ს ინიექცია, ანუ მოვახდინეთ აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექტიური ინჰიბირება. როგორც ნათლად ჩანს წარმოდგენილი სურათიდან, ბუპივაკაინმა ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ნაწილობრივი ვაზოკონსტრიქცია გამოიწვია და ღრძილში სისხლის ნაკადის ინტენსივობის შემცირების დონე 15-20 მლ/100/წთ შეადგენდა (ანუ, რაც ეთანადება ადრენალინის დამატებით მიღებულ ეფექტს). ის რომ ბუპივაკაინით გამოწვეული ვაზოდილატაციის ელიმინაცია და უფრო მეტიც, სისხლის ნაკადის შემცირება ნაწყის დონეზე დაბლა უკავშირდება სწორედ აზოტის ოქსიდით განპირობებული მექანიზმის მოშლას, დასტურდება ცდების იმ სერიაში, რომელშიც L-NAME-სთან ერთად ცხოველებს ინტრავენურად შევუყვანეთ აზოტის ოქსიდის დონორი L-არგინინი საკმაოდ მაღალი დოზით (300 მგ/კგ) და რომელმაც ფაქტიურად მოხსნა L-NAME-თი გამოწვეული ეფექტი და პრაქტიკულად აღადგინა ბუპივაკაინის ვაზოდილატაციური მოქმედება, რაც საკვებით ეთანხმება Gursoy et al. [5] მონაცემებს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, შეიძლება დიდი ალბათობით ვამტკიცოთ, რომ ვირთაგვას ღრძილში ბუპივაკაინის ვაზოდილატაციური ქმედება უმეტესწილად განპირობებულია აზოტის ოქსიდთან დაკავშირებული ვაზოდილატაციის მექანიზმით.

## ლიტერატურა

1. პლიახუნოვა მ., საყვარელიძე ნ., წილოსანი ნ., ფროიძე მ., კვაჭაძე ი., ბუქია გ. საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედიცინის სერია, 2012, 38, 1-2, 43-51.
2. Рабинович С.А. Современные технологии местного обезболивания в стоматологии. – М.: ВУНМИЦ МЗ РФ, 2000, 144 с.
3. Aukland K. Acta Neurol. Scand., 1965, 41, 14, Suppl., 42-45.
4. Christensen K.L., Mulvany M.J., Jespersen L.T. J. Hypertens., 1990, 8(4):321-6.
5. Gursoy H., Burak B., Hikmet B., Mete O., Nese T. Invest. Ophthalmol. Vis. Sci., 2012, 53: E-Abstract 1007.
6. Johns R.A., Seyde W.C., Di Fazio C.A., Longnecker D.E. Anesthesiology, 1986, 65, 86-89.
7. Newton D.J., Mcleod G.A., Khan F., Belch J.F. Reg. Anaesth. Pain Med., 2004, 29, 307-312.
8. Okamura T., Ayajiki K., Fujioka H., Toda M., Fujimiya M., Toda N. Br. J. Pharmacol., 1999, 127(3), 802-8.
9. Shi B., Heavner J.E. Biochemistry and Behavior, 2000, 66, 3, 623-629.
10. Shipton E.A. Anesthesiology Research and Pract. Hindawi Publ. Corp., 2012, ID 546409, 11 p.
11. Toda N., Okamura T. Pharmacol. Rev., 2003, 55, 271-324.
12. Tuvemo T., Wildeck-Lund G. Acta Anaest. Scand., 1982, 26. 04-07.
13. Wahl M.J., Schmitt M.M., Overton D.A. et al. The Journal of the American Dental Association, 2002, 133, 1652-1656.

## **АНАЛИЗ ИЗМЕНЕНИЙ МЕСТНОГО КРОВотоКА В ДЕСНЕ, ВЫЗВАННЫХ ЛОКАЛЬНОЙ ИНЪЕКЦИЕЙ БУПИВАКАИНА (ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ НА КРЫСАХ)**

*М. Плясунова, \*З. Герсамия, И. Квачадзе, В. Месхишвили, Г. Бекая*

Тбилисский государственный медицинский университет; \*Стоматологическая клиника "Элит", Тбилиси

### **РЕЗЮМЕ**

Прошло уже много десятков лет, как локальные анестетики применяются в клинике для анальгезии и анестезии, однако многие, еще неизвестные, их свойства требуют дальнейших исследований. В представленной работе рассмотрен возможный механизм вазодилатационного свойства одного из локальных анестетиков амидного типа "бупивакаина". В экспериментальных исследованиях, проведенных на десне белых крыс, установлено, что вазодилатационное свойство бупивакаина во многом обусловлено хорошо известным механизмом вазодилатации, который ассоциируется с оксидом азота.

## **ANALYSIS OF CHANGES IN GINGIVAL BLOOD FLOW CAUSED BY LOCAL INJECTION OF BUPIVACAINE (EXPERIMENTAL STUDY IN RATS)**

*M. Plyasunova, \*Z. Gersamia, I. Kvachadze, V. Meskhishvili, G. Bekaya*

Tbilisi State Medical University; \*Dental Clinic "Elit", Tbilisi

### **SUMMARY**

For many decades the local anesthetics are clinically used for analgesia and anesthesia, but many, still unknown their properties require further research. In the present study the possible mechanism of vasodilatory properties of one of the amide-type local anesthetics "Bupivacaine" has been examined. In the experimental studies conducted on the gingiva of white rats it has been established that vasodilatory property of bupivacaine is largely due to the well-known mechanism of vasodilation, which is associated with nitric oxide.

# ორსულობა: ჰიპერაგზნებული ტვინის ღაცვა თუ რისკ-ფაქტორი?

*\*ნ.ტ. სამსეიშვილი, ი.გ. ბილაჩიშვილი, მ.გ. ბარბაქაძე,  
ა.გ. სურმავა, ნ.ა. ხიზანიშვილი, ზ.ი. ნანობაშვილი*

სსიპ ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი;  
\* თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ზრდასრულ, აუდიოგენური კრუნჩხვებისადმი დეტერმინირებულ კრუნჩხვისკი-  
მოლოდინას ხაზის მდგრად ვირთაგვებზე შეისწავლეოდა მაკეობის გავლენა  
კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობაზე. გამოიკვია, რომ მაკეობის დროს  
ადგილი აქვს: 1. ბგერითი გამღიზიანებლის საპასუხოდ პირველი ველური  
სირბილის ფარული პერიოდის ზრდას; 2. ორ ველურ სირბილს შორის პაუზის  
გახანგრძლივებას; 3. მეორე ველური სირბილის ხანგრძლივობის შემცირებას.  
განხილულია ის მექანიზმები, რომლებიც შესაძლოა განაპირობებს მაკეობის  
დროს ბგერით სტიმულაციაზე განვითარებული კრუნჩხვითი რეაქციების აღ-  
ნიშნულ ცვლილებებს.

საკვანძო სიტყვები: აუდიოგენური კრუნჩხვები, მაკეობა, ვირთაგვა

სტერეოიდული ჰორმონების მნიშვნელობას ეპილეფსიაში ყურადღება  
მიექცა მას შემდეგ, რაც გოვერსის [8] მიერ 1885 წ. ქალებში აღწერილ  
იქნა კრუნჩხვითი რეაქციების გაძლიერება მენსტრუაციის დროს. შემ-  
დგომში, 1956 წ. ლეიდლევის [12] მიერ, ეპილეფსიით დაავადებულ ქალებზე  
დაკვირვებით, ნაჩვენებ იქნა კრუნჩხვითი რეაქციების დაკნინება მენ-  
სტრუალური ციკლის ე.წ. მიდ-ლუტეალ ფაზაში და ამ რეაქციების გაძ-  
ლიერება მენსტრუაციის დროს. ამ დაკვირვებებზე დაყრდნობით გამოითქვა  
მოსაზრება, რომ მიდ-ლუტეალ ფაზაში კრუნჩხვების დაკნინება, მეორადად,  
პროგესტერონის სეკრეციასთანაა დაკავშირებული, ხოლო მენსტრუაციის  
დროს კრუნჩხვების გაძლიერება პროგესტერონის დონის დაქვეითებითაა  
განპირობებული.

მიუხედავად ამისა, კრუნჩხვითი რეაქციების ჰორმონალური მოდუ-  
ლაციის მექანიზმები არასაკმარისადაა შესწავლილი. ეჭვს არ იწვევს ის  
ფაქტი, რომ კრუნჩხვით რეაქციებსა და ოვარიანული ჰორმონების ურთიერ-

თობის მექანიზმების დადგენის ჭეშმარიტ გზას წარმოადგენს ლაბორატორიული ცხოველური მოდელების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გამოყენებულია კრუნჩხვითი რეაქციების სხვადასხვა ცხოველური მოდელები [14, 15], ეს კვლევები არ იძლევა ნათელ წარმოდგენას ოვარიანულ ჰორმონებსა და ეპილეფსიურ აქტიურობას შორის ურთიერთობის შესახებ. ამიტომ ჰორმონების როლი კრუნჩხვითი რეაქციების განვითარება/გავრცელებაში დამატებით გამოკვლევას მოითხოვს.

ეპილეფსიისადმი გენეტიკურად დეტერმინირებული ცხოველური მოდელები ფართოდ გამოიყენება ეპილეფსიის განვითარება/ბლოკირების მექანიზმების გარკვევის მიზნით. ეპილეფსიის ცხოველური მოდელებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების მოდელი [11, 15]. თავდაპირველად, აუდიოგენურ კრუნჩხვით რეაქციებზე ექსპერიმენტები ჩატარებულ იქნა ი. პავლოვის ლაბორატორიასა და ფილადელფიის ვისტარის ინსტიტუტში 1924 წელს [11]. აღნიშნული ცხოველური მოდელი არ მოითხოვს დამატებით მანიპულაციებს (მაგ., ფარმაკოლოგიურ ან ელექტრულ სტიმულაციას), რადგან კრუნჩხვითი რეაქციები მიიღება მხოლოდ სპეციფიკური სენსორული სტიმულაციის საპასუხოდ.

აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა თავის ტვინის ღეროვან წარმონაქმნებს ენიჭება. ეს სტრუქტურებია: ოთხგორაკის უკანა ბორცვები და ტვინის ღეროს ბადებრივი ფორმაცია. ეფერენტული გზები ოთხგორაკების უკანა ბორცვებიდან მიემართება ტვინის ღეროს ბადებრივი ფორმაციისკენ, რომელიც, თავის მხრივ, აუდიოგენური ქცევითი კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებისთვის მნიშვნელოვან სუპრასპინალურ სტრუქტურას წარმოადგენს [1, 4]. აღსანიშნავია, რომ აუდიოგენური სტიმულის ერთჯერადი გამოყენებისას, როდესაც ცვლილებები მიიღება ტვინის ღეროს ღონეზე, ეპილეფსიური განმუხტვები ტვინის ზედა განყოფილებებში არ ვითარდება. ამ უკანასკნელში ეპილეფსიური რეაქციები მიიღება მხოლოდ ბგერითი გამღიზიანებლის მრავალჯერადი გამოყენებისას, ანუ როდესაც მიიღება ე.წ. აუდიოგენური კინდლინგი [15].

უკანა ოთხგორაკებში გლუტამატს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაში. ნმღა-ს (N-მეთილ-D-ასპარტატი) უკანა ოთხგორაკებში მიკროინექცია ნორმალურ ცხოველებში განაპირობებს კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებას მხოლოდ ძლიერი ბგერითი სტიმულაციის საპასუხოდ. ასევე, გაემ-ა (გამა-ამინო-ერბოს-მჟავა) და გაემ-ბ რეცეპტორების ანტაგონისტების ინექცია უკანა ოთხგორაკებში იწვევს ბგერით გაღიზიანებაზე კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებას [13].

ეპილეფსიის ცხოველური მოდელებიდან ფართოდ გამოიყენება კრუნჩხვითი რეაქციებისადმი გენეტიკურად დეტერმინირებული კრუნჩხვითი-მოლდკინას ხაზის ვირთავებში, რომელთაც ძლიერ ბგერით გამღიზიანებელზე უვითარდებათ კრუნჩხვითი რეაქციები და რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ქვეხაზად: 1. ცხოველები, რომელთაც ბგერით გამღიზიან-

ნებელზე უვითარდებათ მხოლოდ შიშის რეაქცია და სახის კუნთების კლონუსი; 2. ცხოველები, რომელთაც უვითარდებათ შიშის რეაქცია, გაძლიერებული მოტორული აქტები (ველური სირბილი, ხტომები), რასაც თან სდევს კლონურ-ტონური ქცევითი კრუნჩხვები. აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების განვითარების აუცილებელ პირობას ველური სირბილის რეაქცია წარმოადგენს. ველური სირბილის რეაქცია შეიძლება შედგებოდეს ერთი ან ორი ფაზისგან. ველური სირბილის პირველ ფაზას ლიტერატურაში [6] უწოდებენ კრუნჩხვითი რეაქციების განვითარების „კრუ სტარტს“. მიუხედავად იმისა, რომ ველური სირბილის რეაქცია, რომელიც შემდგომი კრუნჩხვითი რეაქციების განვითარების ინტეგრალური კომპონენტია, ველურ სირბილებს შორის პაუზის მნიშვნელობის და თავის ტვინის სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობის დროს ცვლილებების შესახებ არაფერია ცნობილი. გამოთქმულია მხოლოდ თეორიული მოსაზრება, რომ ორ ველურ სირბილს შორის პაუზა უნდა გამოხატავდეს შეკავებითი პროცესების განვითარებას [6].

თუ გავითვალისწინებთ იმ თეორიულ დაშვებას, რომ ორ ველურ სირბილს შორის პაუზა უნდა გამოხატავდეს შეკავებითი პროცესების განვითარებას, მიზნად დავისახეთ აუდიოგენური კრუნჩხვებისადმი დეტერმინირებულ ვირთაგვებში შეგვესწავლა მაკეობის გავლენა ველურ სირბილებს შორის განვითარებული პაუზის მიმდინარეობაზე.

**მეთოდები**

გამოკვლევები შესრულდა ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ცხოველების დაცვისა და მოვლის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამისად. ექსპერიმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცდები ტარდებოდა მამრებისგან იზოლირებულად გაზრდილ მდედრ კრუშინსკი-მოლოდინას ხაზის ვირთაგვებზე, წონით 200-250 გ ( $n = 12$ ). ცხოველები იმყოფებოდნენ ერთნაირ საცხოვრებელ პირობებში. წყალი და საკვები ცხოველებს მიეწოდებოდათ შეუზღუდავად. აღნიშნული ვირთაგვების შეჯვარება ხდებოდა აუდიოგენური კრუნჩხვებისადმი დეტერმინირებულ მამრ ვირთაგვებთან და მაკეობის მეორე და მესამე კვირას ვაკვირდებოდით კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობას.


ცხოველის მაკეობა დგინდებოდა საშვილოსნოდან აღებულ ნაცხში (ფიზიოლოგიური ხსნარის შეყვანა) სპერმატოზოიდების მიკროსკოპული დათვალიერებით და პარალელურად, პალპაციის მეთოდით.

ვირთაგვებს წარედგინებოდათ ძლიერი ბგერითი გამღიზიანებელი (ზარი – 90 დბ, 60 წამის განმავლობაში), რის საპასუხოდ მათ უვითარდებოდათ კრუნჩხვითი რეაქციები. ფასდებოდა აუდიოგენური კრუნჩხვების ქცევითი გამოვლინების პარამეტრები: 0 – ნორმალური ქცევა ბგერით სტიმულაციაზე; 1 – სახის კუნთების კლონუსი, დეჭვითი რეაქციები; 2 – წინა კიდურების მიოკლონუსი; 3 – წინა და უკანა კიდურების მიოკლონუსი, ვერდზე გადავარდნა; 4 – ოთხივე კიდურის კლონუსი, ჩონჩხის კუნთების სრული რიგილობა, ატაქსია, ასფიქსია.

ცდებისთვის გამოიყენებოდა მხოლოდ ის ცხოველები, რომელთაც ძლიერი ბგერითი სტიმულაციის საპასუხოდ უვითარდებოდათ ორი ველური სირბილის რეაქცია.

### შედეგები და მათი განხილვა

ჩატარებული ექსპერიმენტებიდან გამოირკვა, რომ მაკეობის მეორე და მესამე კვირას ადგილი ჰქონდა ბგერით გამღიზიანებელზე განვითარებული პირველი ველური სირბილის განვითარების ფარული პერიოდის მნიშვნელოვან ზრდას (სურ. 1). აღნიშნული უკვე მიუთითებს, რომ მაკეობის დროს უნდა ხდებოდეს აუდიოგენურ კრუნჩხვით რეაქციებში მონაწილე სტრუქტურების ნეირონებში აგზნებადობის დაქვეითება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ პირველი ველური სირბილის ხანგრძლივობები მაკე ვითარებებში არ იცვლებოდა.



სურათი 1. პირველი ველური სირბილის ფარული პერიოდების საშუალო მაჩვენებელი. 1 - მაკეობამდე, 2 - მაკეობის მეორე კვირას, 3 - მაკეობის მესამე კვირას და 4 - მაკეობის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ. ორდინატა - დრო წამებში


მაკე ვითარებებში მნიშვნელოვნად იცვლებოდა პირველ და მეორე ველურ სირბილებს შორის პაუზის ხანგრძლივობა (სურ. 2). სურათიდან ჩანს, რომ მაკეობის მეორე და, განსაკუთრებით მესამე კვირას, ადგილი ჰქონდა ველურ სირბილებს შორის პაუზის მნიშვნელოვან გახანგრძლივებას.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ მაკეობის მეორე და მესამე კვირას ხდებოდა მეორე ველური სირბილის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი შემცირება (სურ. 3). ამასთან ერთად, მაკეობის მესამე კვირას ხშირად მეორე ველური სირბილის რეაქცია საერთოდ არ ვითარდებოდა.


ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემები მიუთითებს ესტროგენ/პროგესტერონის ინდექსის მნიშვნელობაზე კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაში და/ან ბლოკირებაში. ნაჩვენებია პროგესტერონის ანტიკონვულსიური მოქმედება [9, 12] და გაემ რეცეპტორების მაღალი მგრძობილობა პროგესტერონის მიმართ [17]. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ გაემ რეცეპტო-



რების აგონისტების მიკროინექცია ოთხორაკების უკანა ბორცვებში განაპირობებდა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების ბლოკირებას [2]. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი ველური სირბილის ფარული პერიოდის ზრდა და ველურ სირბილებს შორის პაუზის გახანგრძლივება გაემ-ერგული სინაფსების მოქმედების გაძლიერებით უნდა იყოს განპირობებული.



სურათი 2. პირველ და მეორე ველურ სირბილებს შორის პაუზების საშუალო მანძილები. 1 - მაკეობამდე, 2 - მაკეობის მეორე კვირას, 3 - მაკეობის მესამე კვირას და 4 - მაკეობის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ. ორდინატა - დრო წამებში



სურათი 3. მეორე ველური სირბილის ხანგრძლივობების საშუალო მანძილები. 1 - მაკეობამდე, 2 - მაკეობის მეორე კვირას, 3 - მაკეობის მესამე კვირას და 4 - მაკეობის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ. ორდინატა - დრო წამებში.

ამასთან ერთად, ნაჩვენებია შავი სუბსტანციის მნიშვნელობა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაში. კერძოდ, შავი სუბსტანციის დაზიანება იწვევდა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების გაძლიერებას [7]. ოთხორაკების ნეირონების აქტიურობის მოდულაცია შავი სუბსტანციის ნეირონებით ნეოსტრიატუმის ნეირონების გააქტივებით უნდა იყოს განპირობებული, სადაც დოფამინის აქტიურობა იწვევს გაემის

გაძლიერებულ გამოყოფას შავი სუბსტანცია/ოთხგორაკების მიმართულ-  
 ბით [5].

ნავარაუდევია აგრეთვე ნორადრენალინისა და სეროტონინის მნიშვნე-  
 ლობა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების ბლოკირებაში. სეროტონინის  
 პრეპურსორის ინექცია განაპირობებდა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქ-  
 ციების დაკნინებას [18]. ამასთან ერთად, *in vitro* გამოკვლევებით დადგინდა  
 ლურჯი ლაქის მნიშვნელობა აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების  
 ბლოკირებაში. ნაჩვენებია, რომ ნორადრენალინის შემცველი ბოჭკოების  
 დეფიციტი იწვევს აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების გაძლიერებას [16].

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებიდან გამომდინარე შეიძლება  
 ვივარაუდოთ, რომ თეორიული შეხედულება [6] იმის შესახებ, რომ ველურ  
 სირბილებს შორის პაუზა განპირობებული უნდა იყოს შეკავებითი პრო-  
 ცესების გაძლიერებით, სამართლიანია. ყოველივე აღნიშნული საშუალებას  
 იძლევა, რომ ველურ სირბილებს შორის პაუზა გამოყენებულ იქნას  
 აუდიოგენური კრუნჩხვითი რეაქციების მოდულაციის მექანიზმების დად-  
 გენისას.

## ლიტერატურა

1. *Browning R.A.* Fed. Proc., 1985, 44, 2425-2431.
2. *Browning R.A., Lanker M.L., Faingold C.L.* Epilepsy Res., 1989, 4, 119-125.
3. *Clough R.W., Browning R.A., Maring M., Statnick M.A.* J. Neur. Trans. Plast., 1994, 5, 65-79.
4. *Coleman J.R., Clerici W.J.* J. Comp. Neurol., 1987 262, 215-226.
5. *Cools A.R., Coolen J.M., Smit J.C.* Eur. J. Pharmacol., 1984, 100, 71-77.
6. *Fuller J.L., Smith M.E.* American J. of Physiology, 1953, 172, 661-678.
7. *Garcia-Cairasco N., Terra V.C., Doretto M.C.* Physiol. Behav., 1991, 50, 21-27.
8. *Gowers W.R.* Epilepsy and Other Chronic Convulsive Diseases. Their Causes. Symptoms and Treatment. William Wood, New York, 1885, 255 pp.
9. *Holmes G.L., Weber D.A.* Developmental Brain Research, 1984, 16, 45-53
10. *Jobe P.C., Picchioni A.L., Chin I.* J. Pharmacol. Exp. Ther., 1973, 184, 1-10.
11. *Kryshinsky L.V., Molodkina I.N., Fress D.A., Dobrokhotova L.P., Steshenko A.P., Semiokhina A., Zorina Z.A., Romanova L.G.* In: Welch B.L. and Welch A.S. (eds) Physiological effects of noise. New York, Plenum Press, 1970, 151-159.
12. *Leidlaw J.* Lancet, 1956, 271, 1235-1237.
13. *Millan M.H., Meldrum B.S., Faingold C.L.* Exp. Neurol., 1986, 91, 634-639.
14. *Morimoto K., Fahnestock M., Racine R.J.* Progress in Neurobiology, 2004, 73, 1-60.
15. *Ross K.C., Coliman J.R.* Neuroscience and Biobehavioral Reviews, 2000, 24, 639-653.
16. *Ryu J.R., Jobe P.C., Milbrandt J.C., Mishra P.K., Clough R.W., Browning R.A., Daily J.W., Seo D.O., Ko K.H.* Exp. Neurol., 1999, 156, 84-91.
17. *Scarfmán H.E., Goodman J.H., Berger R.E., Walling S.G., Mercurio T.C., Stormes K., Macluský N.J.* Experimental Neurology, 2005, 196, 73-86.
18. *Sparks D.L., Bukholtz N.S.* Pharmacol. Biochem. Behav., 1985, 23, 753-757.

## БЕРЕМЕННОСТЬ: ЗАЩИТА ИЛИ РИСК-ФАКТОР ГИПЕРАКТИВНОГО МОЗГА?

*\*Н.Т. Самсеишвили, И.Г. Биланишвили, М.Г. Барбакадзе, А.Г. Сурмава,  
Н.А. Хизанишвили, З.И. Нанобашвили*

И. Бериташвили центр экспериментальной биомедицины, Тбилиси; \* Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

На взрослых крысах линии Крушинского-Молодкиной, детерминированных к аудиогенным судорожным реакциям, исследовали влияние беременности на течение эпилептических поведенческих реакций. Было показано, что во время беременности в ответ на звуковое раздражение происходит: 1. Увеличение скрытого периода первого дикого бега. 2. Удлинение пауз между двумя дикими бегами. 3. Уменьшение продолжительности второго дикого бега. Обсуждаются те механизмы, которые, возможно, участвуют в изменении судорожных реакций у беременных крыс в ответ на звуковое раздражение.

## PREGNANCY: PROTECTION OR RISK-FACTOR OF HYPERACTIVE BRAIN?

*\*N.T. Samseishvili, I.G. Bilanishvili, M.G. Barbakadze, A.G. Surmava,  
N.A. Khizanishvili, Z.I. Nanobashvili*

LEPL I. Beritashvili Center for Biomedicine, Tbilisi; \* Tbilisi State Medical University

### SUMMARY

On adult rats of Krushinsky-Molodkina line determined to audiogenic seizure reactions the effect of pregnancy on the course of epileptic behavioral reactions has been investigated. It was shown that during pregnancy in response to sound stimulation the following occurs: 1) the increase in the latent period of the first wild run; 2) the lengthening of intervals between two wild runs; 3) the reduction of the length of second wild run. The mechanisms which may be involved in the change in seizure reactions in pregnant rats in response to sound stimulation are discussed.

## ANTIAMNESIC EFFECT OF VASOPRESSIN

*Z.A. Sakvarelidze, N.G. Bukia, M.P. Butskhrikidze, M.J. Svanidze,  
L.I. Machavariani, E.S. Moniava*

I. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia

Neuropeptides participate in learning and memory processes. Despite certain successes, achieved in researches, available actual data frequently had inconsistent character. Till now it is not finally found out the role of vasopressin in the organisation, formation and reproduction of long-term memory trace. For this we have studied the influence of small doses of vasopressin in the dynamics of conditioned bilateral escape reflex elaboration in rats weighing 250-300 g. The animals were divided into two groups: control and experimental. Experimental animals were administered 4 µg / 0.2 ml lysine 8-vasopressin (Gedeon-Rixter), intraperitoneally during 12 days, 15 minutes before the testing. Control animals were injected with the same amount of saline. For statistical analysis of data we used the criterion of t-Student.

It was shown that in the experimental group the indices of correct responses, as a latent period of reaction of active avoidance, significantly lagged behind the control group. The level of conditioned reflex on active defensive escape was checked during three days in two weeks, 1 month and 2 months after such termination of experiment in both control and experimental groups of animals. However, through the first and second month breaks, the level of fulfillment of conditioned reflex reaction in the experimental animals statistically significantly ( $p < 0.01$ ) exceeded those of control group animals.

Thus, vasopressin promotes the preservation of memory trace and has anti-amnesic effect.

**Key words:** vasopressin, conditioned reflex, memory, anti-amnesic effect

Learning and memory are essential requirements for every living organism in order to adapt to the changes in life conditions.

The research on the effects of hormones on memory has focused on such hormones as adrenocorticotrophic hormone (ACTH), glucocorticoids, vasopressin, oxytocin, epinephrine, corticotropin-releasing factor (CRF) that are released into the blood and brain following arousing or stressful experiences. Most of the information has been derived from studies on conditioned behavior, in particular, avoidance behavior in rats. In these tasks, an aversive situation was used as a stimulus for learning. Aversive stimuli are associated with the release of stress hormones and neuropeptides. Neuropeptides not only affect attention, motivation, concentration and arousal or vigilance, but also anxiety and fear. In this way, they participate in learning and memory processes [1, 2, 6, 8]. Despite certain successes, achieved in researches, accumulated actual data frequently had

inconsistent character and required further specialization. Till now it is not finally found out, what role vasopressin can play in the organization, formation and reservation of memory at all the stages of its reproduction. Originally, the assumption about a possible role of hypophysial hormones (especially vasopressin) in the organization of memory was studied by Wied et al. [4].

The aim of this study was to find out lysine 8-vasopressin role in the process of consolidation, preservation and reproduction of long-term memory trace. For this we have studied the influence of small doses of vasopressin in the dynamics of conditioned bilateral escape reflex elaboration.

## MATERIAL AND METHODS

The experiments were carried out on adult male albino rats ( $n = 40$ ), weighing 220-250 g. For the study of conditioned defense reflexes the model of bilateral escape reaction was used. The experimental cage appeared to be a box (dimensions –  $30 \times 50 \times 30$  cm) made of transparent organic glass. The box was divided into two equal compartments by a 10 cm height partition. The floor of the cage was made from metallic rods, by means of which a threshold electrical painful stimulation was rendered to the paws. The source of a conditioned signal – 60 W electric bulbs – was placed in the center of the cage at a height of 60 cm, which illuminated the whole cage. If after the presentation of a conditioned signal the animal jumped in other compartment of the cage during 5 sec, the answer was considered to be correct and the animal failed to get electrical punishment, otherwise it was punished by an electrical current. Each experimental session consisted of 20 trails.

The dynamics of elaboration and course of bilateral escape reaction were studied during the experiment. The following indices were registered: duration of latent period of conditioned signal; duration of latent period of conditioned (bilateral escape reaction), and unconditioned (escape) reaction. The general behavior of the animal was also observed.

For the revelation of vasopressin influence on the elaboration of conditioned reflexes the experiments were carried out in two groups of animals. In experimental group ( $n = 20$ ) for 15-20 minutes prior to the beginning of experiments vasopressin (Lysine-vasopressin “Koch-Light, England) was administered intraperitoneally (4 mg/kg). In control group ( $n = 20$ ) for the similar time prior to the beginning of experiments the same amount of saline was administered.

The level of conditioned reflex on active defensive escape was checked during three days in two weeks, 1 month and 2 months after such termination of experiment in both control and experimental groups of animals.

## RESULTS

It has been shown that in the first day of experiment (20 couplings) the quantity of the correct answers of animals reached 30% in control group. In the following days, this parameter grew and on the seventh experimental session (in limits of 140 couplings) critical level was reached. The indices of adequate reactions achieved 90%. This level was also remained stable in further days. After vasopressin administration the indices of

correct responses of the animals did not exceed 5%. In the subsequent days this parameter gradually increased, but nevertheless much lagged behind from those in the control group of the animals. The experimental animals reached the critical level only for the 10-th day (200 couplings). At the further stages of experiment the quantity of correct reactions of experimental group did not give any difference (Fig. 1).




Fig. 1. Effect of vasopressin on bilateral escape conditioned reflex in rats

During 12 days of active defense reaction elaboration were revealed significant differences in the latent period of conditioned reaction in control and experimental groups. In particular the latent period of conditioned reaction changed in range of 1.9-2.4 sec and on the average made 2.1 sec. The minimal value of a similar parameter in experimental group of the animals has made 2.9 sec, and maximum – 3.8 sec. In general, during all the period of conditioned reaction elaboration, the latent period in experimental group of the animals statistically significantly ( $p < 0.05$ ) exceeded those of control group animals (Fig. 2).




Fig. 2. The dynamics of latent period of conditioned reflex in control and experimental group of animals




Fig. 3. Dynamics of latent period of escape reactions

The distinction between those two groups of the animals was marked also in the latent period of unconditioned escape reaction. In particular, during the first 9 days of elaboration of active escape defense reaction, statistically the latent period of escape in experimental group significantly exceeded those in control group. During the three last days of experiments this distinction was kept, but statistically already was not significant (Fig. 3).




Fig. 4. Effect of vasopressin on the preservation and reproduction of active escape reaction: 1. before rest; 2. two weeks later; 3. one month later; 4. two months later

On the basis of experiments it was established that the elaboration of adequate defense behavior for the animals receiving vasopressin in comparison with the control animals much more couplings (80) were required.

As we mentioned above, the level of conditioned reflex on active defensive escape was checked during three days in two weeks, 1 month and 2 months after such termination of experiment in both control and experimental groups of animals.

Two weeks after rest the distinction in a level of reaction on conditioned reflex between the control and experimental animals was not found out. However, through the

first and second month breaks, the level of fulfillment of conditioned reflex reaction in the experimental animals statistically significantly ( $p < 0.01$ ) exceeded those of control group animals. In particular, on 20 conditioned signals they adequately reacted 11 times (55%), and the conditioned reactions were carried out on the verge of fortuity. In the experimental group of the animals the level of the correct answers made 80-90% (Fig. 4).

Proceeding from the above mentioned we can conclude that the chronic 12 day administration of vasopressin after each experimental session promotes preservation of a trace of memory and its perfect reproduction.

## CONCLUSION

We consider that such influence of lysine vasopressin on the elaboration of conditioned reflexes should be caused both by direct action of specified hormone on memory, and by the alteration of motivational-emotional condition of the animal. The neuropeptide vasopressin might be affect motor performance in the early stage of formation conditioned reflex (in order to maintain active avoidance extinction, the motor activity must be kept high) and this condition in its turn finds reflection during formation of memory. Furthermore, vasopressin might be modulated the release of stress hormones such as epinephrine. In turn, systemic catecholamines enhance memory consolidation. Vasopressin is co-localized with CRF in neurons from the nucleus paraventricularis, which project to nuclei in the brainstem involved in autonomic regulation [3, 5, 7]. These neuropeptides may act synergistically or in a concerted action aimed to learn to adapt to environmental demands.

## REFERENCES

1. *Appenrodt E., Schwarzberg H.* Peptides, 2003; 24(1), 129-136.
2. *Beets I., Janssen T., Meelkop E., Temmerman L., Suetens N., Rademakers S., Jansen G., Schoofs L.* Science, 2012, 26; 338 (6106), 543-545.
3. *Currás-Collazo M.C., Gillard E.R., Jin J., Pandika J. J.* Neuroendocrinol., 2003, 15(2), 182-190.
4. *De wied D.* Nature, 1978, 232, 58-60.
5. *Engelmann M., Wotjak C.T., Neumann I., Ludwig M., Landgraf R.* Neurosci. Biobehav. Rev., 1996, 20(3), 341-358.
6. *Ferris C.F.* Novartis Found Symp., 2005, 268, 190-198.
7. *McKaughan D.J., Elliott K.C.* Science, 2012, 7, 338(6112), 1285.
8. *Van Duxe H., Andersson K. et al.* Federation of American Soc. for Experimental Biology, 2003, 18, 1, 163.



## ვაზოპრესინის ანტიამნეზიური მოქმედება

ზ. საყვარელიძე, ნ. ბუკია, მ. ბუცხრიკიძე, მ. სვანიძე,  
 ლ. მაჭავარიანი, ე. მონიავა

სისპ ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

### რეზიუმე

ნეიროპიოპოფიზური პორმონი - ვაზოპრესინი გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციაზე, როგორცაა დასწავლა. მიუხედავად რიგი გამოკვლევებისა, დღეისთვის ბოლომდე არ არის შესწავლილი ვაზოპრესინის როლი მეხსიერების ფორმირების და დამახსოვრებული ინფორმაციის კვლავწარმოქმნის პროცესში. ჩვენი კვლევის მიზანი იყო ვაზოპრესინის როლის დადგენა ხანგრძლივი მეხსიერების ფორმირების პროცესში. ამ მიზნით შევისწავლეთ ვაზოპრესინის მცირე დოზების შეყვანის გავლენა ორმხრივი აქტიური განრიდების პირობითი რეფლექსის (ოგარ) ფორმირებასა და შემონახვაზე ვირთაგვებში (წონით 250-300 გ,  $n = 40$ ). ექსპერიმენტები ტარდებოდა ცხოველების ორ ჯგუფზე. ექსპერიმენტის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, ინტრაპერიტონეალურად, ცხოველების ერთ ჯგუფს ვუკეთებდით ლიზინ 8-ვაზოპრესინის (Gedeon-Richter) ინექციას (4 მგ/0.2 მლ), ხოლო II ჯგუფს კი - იგივე რაოდენობის ფიზიოლოგიურ ხსნარს. დადგინდა, რომ ვაზოპრესინის შეყვანის ფონზე, ექსპერიმენტული ჯგუფის ვირთაგვები ოგარ-ის ფარული პერიოდით და აღნიშნული რეაქციის ფორმირების მიხედვით ჩამორჩებოდნენ საკონტროლო ჯგუფს.

პირობითრეფლექსური მეხსიერების კვალის შემონახვასა და რეპროდუქციაზე ვაზოპრესინის გავლენის შესწავლის მიზნით, პირობითრეფლექსური ქცევის განმტკიცების შემდეგ, პრეპარატის შეყვანას ვწყვეტდით და თავდაკვითი პირობითი რეაქციის დონეს ვამოწმებდით 3 დღის განმავლობაში 2 კვირის, 1 თვის და 2 თვის შემდეგ. ორკვირიანი შესვენების შემდეგ ორივე ჯგუფის ცხოველები პირობითრეფლექსურ მოქმედებას მაღალ დონეზე ახორციელებდნენ. ერთთვიანი და ორთვიანი შესვენების შემდეგ კი რეფლექსი მკვეთრად გაუარესდა საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებში ( $p < 0.01$ ).

ექსპერიმენტები გვიჩვენებს, რომ ვაზოპრესინი ჩართულია გრძელვადიანი მეხსიერების ფორმირების პროცესში და აფერხებს აქტიური განრიდების რეაქციის ფორმირებას. რაც შეეხება ამ რეაქციის შემონახვას, იგი აუმჯობესებს ამ პროცესს და ხელს უშლის დავიწყებას. ამასთანავე, ვვარაუდობთ, რომ ვაზოპრესინი გრძელვადიანი მეხსიერების ორგანიზაციაში მონაწილეობს როგორც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე უშუალო ზემოქმედებით, ასევე არაპირდაპირ, ცხოველის მოტივაციისა და ემოციის ცვლილების გზითაც.

ამრიგად, ვაზოპრესინს აქვს ანტიამნეზიური მოქმედება.

## ПРОТИВОАМНЕТИЧЕСКОЕ ДЕЙСТВИЕ ВАЗОПРЕССИНА

*З.А. Сакварелидзе, Н.Г. Букия, М.П. Буцхрикидзе, М.Д. Сванидзе,  
Л.И. Мачавариани, Э.С. Мониава*

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Несмотря на ряд исследований, до сих пор не до конца изучена роль вазопрессина в процессе формирования и воспроизведения обученной информации. Для этого было изучено влияние введения малых доз вазопрессина на выработку и воспроизведение условного рефлекса активного, двухстороннего избегания у крыс, весом 250-300 г ( $n = 40$ ). Животные были разделены на две группы: контрольные и экспериментальные. Животным экспериментальной группы вводили 4 мкг/0.2 мл лизин 8-вазопрессина (Gedeon-Richter), интраперитонеально, в течение 12 дней, за 15 минут до тестирования. Животным контрольной группы вводили физиологический раствор по той же схеме. Для статистической обработки данных использовали Т-критерий Стьюдента.

Было показано, что на фоне введения вазопрессина животные экспериментальной группы значительно отстают от животных контрольной группы как латентным периодом, так и формированием оборонительной реакции активного избегания. Для изучения влияния вазопрессина на сохранение и репродукцию следа условнорефлекторной памяти, прекращалось введение вазопрессина и происходила проверка уровня условной оборонительной реакции спустя 2 недели, 1 и 2 месяца. Между группами, по уровню исполнения условных реакций различие не отмечалось после 2-х недельного перерыва. Животные обеих групп на высоком уровне осуществляли условный рефлекс. Спустя 1 и 2 месяца реакция активного избегания была ухудшена в контрольной группе ( $p < 0.01$ ).

Можно заключить, что вазопрессин ухудшает формирование реакций активного избегания, но улучшает процесс запоминания и репродукции следа памяти. Можно предположить, что данный эффект вазопрессин осуществляет как прямым влиянием на центральную нервную систему, так и косвенно, через изменения мотивационно-эмоционального состояния животного.

Таким образом, вазопрессин имеет антиамнетическое влияние.

## ВОЗРАСТНЫЕ ИЗМЕНЕНИЯ РЕДОКС-СТАТУСА КРОВИ И КРОВЕНОСНЫХ СОСУДОВ

*В.А. Кипиани, Т.Г. Петриашвили, Т.В. Саникидзе, Н.С. Павлиашвили,  
Нино В. Кипиани, М.Л. Топуридзе, Нана В. Кипиани, Р.М. Шенгелия*

Тбилисский государственный медицинский университет

В крови и стенке аорты лабораторных крыс изучены ЕПР спектры крови и ткани аорты. Установлены связанные с возрастом животных прогрессирующие изменения митохондриального дыхания, про-и антиоксидантной систем метаболизма оксида натрия.

Показано, что в процессе старения участвуют процессы, вызывающие хронический оксидативный стресс и нарушение метаболизма оксида азота с образованием супероксидрадикалов, низкую активность антиоксидантной системы.

Избыток реактивного кислорода, сопровождающего оксидантный стресс, повреждает стенки кровеносных сосудов пероксидативными процессами, характерными для процесса старения.

**Ключевые слова:** редокс-статус, возраст, ЕПР спектр, кровь, кровеносный сосуд

К концу XX века существенно изменились воззрения о механизмах, связанных с возрастом изменений стенок кровеносных сосудов, вследствие чего наметились новые направления исследований. Гемодинамические, ренальные и нейрогуморальные концепции были дополнены новыми теориями – эндотелиальной дисфункции и активации провоспалительных цитокинов. Эти процессы, видимо, связаны с усилением свободнорадикального окисления, возможную роль которого в патогенезе старения предположил Harman D. еще в 1956 году и которая интенсивно изучается за последние 20-25 лет [1].

Считается, что инициированные интермедиантами кислорода (гидроксил, супероксиданионрадикал) пероксидационные процессы вызывают повреждение эндотелиальных клеток кровеносных сосудов с развитием эндотелиальной дисфункции, которая должна играть существенную роль в процессе старения.

Вызванное оксидационным стрессом повреждение сосудов является связывающим звеном атеросклероза и гипертензии. О значении липопероксидации в патогенезе атеросклероза говорят данные [3, 5].

Несмотря на весьма вероятную роль усиления пероксидации в процессе старения и сопряженных с ними атеросклероза и гипертонии, ее сущность и механизмы у особей различного возраста изучены недостаточно. В первую очередь,

это касается исследования окислительных процессов на клеточном и субклеточном уровнях, являющихся провоцирующим фактором тех биохимических и патофизиологических нарушений, которые характерны для развития процесса старения, его основных сопровождающих явлений.

Исходя из вышесказанного, становится понятной необходимость изучения на молекулярном, субклеточном и клеточном уровнях механизмов процессов, которые являются основой возрастных изменений функций органов и тканей, окислительно-восстановительных процессов. С этой целью необходимо углубленное изучение сущности изменений, являющихся основой перексидации, нарушения транспорта электронов в митохондриях клеток, сопоставление нарушений клеточных изменений с индикаторами окислительных процессов крови. Для выявления интимных механизмов перексидационных процессов представляется перспективным и изучение содержания ионов некоторых металлов ( $Fe^{2+}$ ,  $Mn^{2+}$ ), так как они являются мощными индукторами свободнорадикального окисления.

За последние годы накопился большой материал о весьма важной роли оксида азота в функционировании организма в норме и при патологии. Действие этого вещества распространяется на клеточные и субклеточные структуры почти всех тканей.

В различных условиях NO может вызвать как положительный, так и отрицательный, токсический эффект. NO повреждает комплекс митохондриальной электронной цепи и усиливает освобождение свободных радикалов, которые могут вступить в реакцию с NO с образованием токсического пероксинитрита – весьма мутогенного оксиданта.

Особенно важна роль NO в регуляции метаболизма клеток сосудистой стенки и сосудистого тонуса. Известно, что эндотелии кровеносных сосудов выделяет вещества, оказывающие значительное влияние на сосудистый тонус. Важнейшие из них – NO, эндотелин и простагландины.

Образованный в эндотелиоцитах NO диффундирует в гладкие мышцы сосудистой стенки и активирует гуанилатциклазу. В результате этого происходит фосфорилирование внутриклеточных протеинов: регулирующую субъединицу легкой цепи миозина и белков, контролирующих внутриклеточное содержание кальция. NO модулирует вазодилатацию также экспрессией генов гладких мышц.

Приведенная далеко не полная палитра механизмов действия NO на тонус кровеносных сосудов и метаболизм гладких мышц позволяет с большой вероятностью допустить возможную роль NO в механизме изменений сосудистой стенки и тонуса кровеносных сосудов, в том числе и при старении организма.

Хорошо известно, что свободнорадикальное окисление провоцирует нарушение митохондриального дыхания и гиперпродукцию супероксидрадикалов (например, при аллоксановом диабете, которые приводят к повреждению стенок кровеносных сосудов [2]. Но поражение сосудов такого рода может быть связано и с возрастом.

Понятно, что связанное с возрастом повреждение сосудов перексидативными процессами касается не только аорты. По-видимому, такие процессы поражают и церебральное кровообращение, следствием чего выявляются и малые флюктуации кровяного давления [7]. Влияние возраста на резистентность сосудов проявляется как при отдыхе, так и при физической нагрузке [4]. Следует отметить роль

окисления липопротеидов низкой плотности на ранних стадиях развития атеросклероза [6].

Свободные радикалы способны активировать матриксные металлопротеиназы, что вызывает ремоделирование и повреждение сосудистой стенки. Свободнорадикальная липопероксидация сопровождается атеросклерозом, гипертонической патологией [6].

**Цель исследования** – установление возрастных изменений редокс-статуса организма, митохондриального дыхания про – и антиоксидантных систем, метаболизма оксида азота, изучение их возможной роли в механизмах старения и в возрастных изменениях сосудистой стенки.

## МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ ИССЛЕДОВАНИЯ

Исследования проведены на 360 лабораторных крысах разных возрастных групп: возраст молодой (90 крыс – 6-8 месяцев), возраст зрелый (90 крыс – 14-16 месяцев), возраст предстарческий (90 крыс – 20-22 месяца), возраст старческий (90 крыс – выше 23 месяцев). По 60 крыс из каждой возрастных групп (4) использовали для исследования ЭПР спектров крови, по 40 – для изучения ЭПР спектров ткани аорты у 3-х возрастных групп животных (зрелый, предстарческий, старческий).

Об интенсивности митохондриального дыхания, о целостности цепи электронного транспорта в митохондриях, интенсивности генерации свободных радикалов в клетках исследуемых тканей судили высокочувствительным методом электронного парамагнитного резонанса (ЭПР).

Для регистрации ЭПР спектра на радиоспектрометре РЭ 1307 забирались кровь или ткань аорты крыс. Куски ткани или кровь в полиэтиленовых трубочках длиной 20 мм замораживались в жидком азоте с использованием кварцевого дюара. С помощью компьютерной программы и самописца получили запись ЭПР сигналов.

Для определения свободной NO кровь или ткань помещали в 1-молярный раствор диэтилдитиокарбамата натрия в течение 0.5 часа. В дальнейшем ЭПР спектр проб тканей определялся на радиоспектрометре РЭ-1307, при температуре жидкого азота. Результаты опытов обработаны статистически.

## РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИЙ

В таблице 1 представлены ЭПР сигналы крови лабораторных крыс разного возраста. Видно, что ЭПР спектр крови крыс молодого возраста содержит сигналы  $Fe^{2+}$ -трансферина, NO и существенно не отличается от ЭПР спектра крови крыс зрелого возраста.

У крыс предстарческого возраста выявляются изменения интенсивности отмеченных и появление ЭПР сигналов, отсутствующих у крыс предыдущих возрастных групп ЭПР сигналов. В частности, появляются двухвалентные железа, метгемоглобина, манганумсодержащих комплексов, нитрозильных комплексов негемического железа.

Наряду с этим, отмечается уменьшение интенсивности сигнала обладающего антиоксидантными свойствами  $Fe^{3+}$ -трансферина (на 22% исходного уровня),

оксида азота (на 29% исходной величины), усиление сигнала окисленного церулоплазмينا (на 25%). Последнее указывает на усиление пероксидативных процессов.

У крыс старческой группы выявились более существенные сдвиги ЭПР спектра крови: снижение интенсивности сигнала  $Fe^{3+}$ -трансферина составило 26%, оксида азота – 44%, сигнал окисленного церулоплазмينا усилился на 27%. Отмечалось также усиление ЭПР сигналов, отсутствующих у крыс молодого и зрелого возраста и появляющихся у крыс предстарческого возраста.

Таблица 1

## ЭПР-сигналы крови у крыс разного возраста

Возраст	№	Mn <sup>2+</sup>	Fe <sup>3+</sup> транс- ферин g = 2,2	окисл. церуло- плазмин g = 2,056	NO	Fe <sup>2+</sup> g = 2,2	MentHb
Крысы молодого возраста	60	1 -	5 27 ± 0.3	9 24 ± 0.4	13 24 ± 0.2	17 -	21 -
Крысы зрелого возраста	60	2 -	6 26 ± 0.3	10 26 ± 0.3	14 23 ± 0.3	18 -	22 7 ± 0.2
Крысы предстар- ческого возраста	60	3 13.0 ± 0.3	7 20 ± 2.2	11 30 ± 1.2	15 17 ± 2.7	19 18 ± 2.9	23 12 ± 2.5
Крысы старческого возраста	60	4 12.9 ± 0.3	8 19 ± 0.4	12 28 ± 1.2	16 13 ± 0.5	20 18 ± 0.4	24 8 ± 0.8

Статистически достоверные изменения следующих величин: 1-3, 1-4, 2-3, 2-4, 5-7(-22%), 5-8(-26%), 6-7(-23%), 6-8(-27%), 9-10 (-8%), 9-11(+25%), 9-12(+27%), 10-11(+16%), 10-12(+8%), 13-15(-29%), 13-16(-44%), 14-16(-43%), 17-19, 17-20, 18-19, 18-20, 21-23, 21-24, 22-23(+71%) 22-24(14%)

Таблица 2

## ЭПР- сигналы аорты крыс разного возраста

Возраст	№	Свободные радикалы		HbNO	NO	Fe <sup>2+</sup>
		J	H			
Крысы зрелого возраста	40	1 4.8 ± 0.07	4 8.5 ± 0.51	7 -	10 14 ± 0.9	13 -
Крысы предстар- ческого возраста	40	2 5.4 ± 0.3	5 8.7 ± 0.7	8 22 ± 1.06	11 12.4 ± 0.5	14 12.5 ± 1.5
Крысы старческого возраста	40	3 7.2 ± 0.4	6 9.2 ± 0.5	9 20 ± 1.7	12 12.4 ± 0.5	15 15 ± 1.6

Статистически достоверные изменения следующих величин: 1-3(+50%), 2-3(+33%), 7-8, 7-9, 10-11(-11%), 10-12(-28%), 11-12, 13-14, 13-15, 14-15(+20%)

Таким образом, с увеличением возраста животных в ЭПР спектре крови прогрессивно нарастают сдвиги ЭПР сигналов, указывающие на развитие оксидационного стресса, снижение активности антиоксидантных ферментов, усиление пероксидационных процессов, накопление прооксидантных факторов. Указанное наглядно представлено на рисунке 1.




Рис. 1. ЭПР спектры крови крыс разных возрастных групп

На рисунке четко прослеживается параллельное увеличению возраста снижению содержания в крови мощного антиоксиданта Fe<sup>3+</sup>-трансферина с одновременным нарастанием окисленного церулоплазмينا (вследствие усиления пероксидации).

Антиоксидантный фермент церулоплазмин обладает фероксидазными и супероксиддисмутантными свойствами. Этот фермент, окисляя Fe<sup>2+</sup> в Fe<sup>3+</sup>, способствует включению железа в апотрансферин. Отмеченная реакция способствует освобождению сыворотки крови от мощного индуктора пероксидации, ведущего к образованию радикалов кислорода, что могло бы осуществиться путем неферментативного окисления Fe<sup>2+</sup>.

В механизме возрастных изменений пероксидации, видимо, участвует снижение Fe<sup>3+</sup>- трансферина, приводящее к усилению перекисных процессов и расходу свободного церулоплазмينا (значительная часть которого окисляется), чем и вызвано установленное нами у крыс более высокого возраста увеличение содержания в крови соответствующего ЭПР сигнала. Вследствие этих процессов уменьшается резерв свободного (антиоксидантного) церулоплазмينا. В результате происходит накопление в крови Fe<sup>2+</sup>, ведущего к уменьшению (см. рис.1)

пероксидации. Таким образом, замыкается своеобразный „порочный круг“ нарушения редокс-статуса с преобладанием перекисных процессов.

Приведенные данные свидетельствуют о развитии в предстарческом и старческом возрасте оксидационного стресса. На таком фоне не могла оставаться интактной весьма реактивная сосудистая система. Для исследования состояния сосудов при старении, нами были изучены ЭПР спектры тканей аорты у крыс зрелого, предстарческого и старческого возрастов.

В таблице 2 и на рисунке 2 приводятся данные о ЭПР сигналах ткани аорты у различных возрастных групп крыс. Установлено, что ЭПР-спектр аорты зрелых крыс состоит из свободнорадикальных J и H сигналов и ЭПР сигнала оксида азота. У крыс предстарческого возраста дополнительно появляются ЭПР сигналы нитрозилированного гемоглобина и феритин-несвязанного железа. Изменения ЭПР спектра ткани аорты еще более резко выражены у крыс старческого возраста: полуширина свободнорадикального сигнала J, по сравнению со зрелыми животными, увеличивалась на 50%, по сравнению с животными предстарческого возраста – на 33%, резко возрастала интенсивность сигнала  $F^{2+}$ , указывающего на деструкцию клеток.

Таким образом, с увеличением возраста усиливаются нарушения ЭПР спектра ткани аорты, что является выражением расстройства функции и структуры клеток этой ткани. Обращает на себя внимание изменения митохондриального дыхания эндотелиоцитов, приводящих к увеличению генерации супероксиданионрадикалов. Комплексное действие реактивного кислорода и снижение содержания NO приводят к повреждению эндотелиоцитов, что проявляется появлением ЭПР сигнала  $Fe^{2+}$ . Видимо, при старении происходит пероксидация липопротеидов, которая вызывает дегенеративные процессы с повреждением стенки сосуда.

С другой стороны, выявленное нами снижение содержания оксида азота приводит к их склонности к сужению, столь характерному для старческого возраста.




Рис. 2. ЭПР спектры аорты крыс разных возрастных групп



## ВЫВОДЫ

1. С увеличением возраста организма развиваются прогрессирующие нарушения редокс-статуса тканей, усиление прооксидантной и депрессия антиоксидантной систем, которые играют важную роль в механизме старческих изменений биологического дыхания, функции и структуры кровеносных сосудов.
2. В механизме старения участвуют взаимосвязанные и взаимообуславливающие процессы, которые вызывают развитие постоянного, непрерывного, хронического оксидационного стресса и снижение нарушения метаболизма оксида азота. Основными компонентами этих процессов являются избыток супероксидрадикалов, низкая активность антиоксидантных ферментов, оксидационный стресс, за которым следует нарушение регуляции функции клеток.
3. Комплексное действие избытка реактивного кислорода, образованного при оксидантном стрессе, сопровождается повреждением эндотелиальных клеток стенки кровеносных сосудов. Следует считать, что в них происходит пероксидация липопротеидов, которая в стенках кровеносных сосудов вызывает развитие дегенеративных процессов, характерных для старения.
4. Особое значение для развития сосудистых расстройств, связанных с возрастом, должны иметь нарушения метаболизма оксида азота. Большая часть синтезированного в сосудистой стенке NO входит в соединение с гемоглобином. Это приводит к фактическому дефициту этого мощного сосудорасширяющего вещества, что обуславливает склонность кровеносных сосудов к сужению, характерную для пожилого возраста.
5. Для предотвращения сосудистых расстройств в пожилом и старческом возрасте следует применять индивидуализованный подход с учетом степени изменений редокс-статуса тканей и метаболизма NO. Рекомендовано применение природных антиоксидантов и донаторов оксида азота.

## ЛИТЕРАТУРА

1. *Gervos-Navarro J., Diemer N.H.* 1991.
2. *Kipiani V.A., Delibashvili D., Kipiani Nana V., Namoradze M.Sh., Sanikidze T.G.* Internat. J. Immunorehabilitation, 2002.
3. *Morrow G.D., Starke R.M.* Arterioscler. Tromb. Vasc. Biol., 2005, 25(2), 279-286. Epub 2004.
4. *Padilla J., Simmons H., Fadel P., Laughin H.M., Loyner M.J.* Hypertension, 2001, 57, 484-489.
5. *Starke R.M., Chalont N., Ali M.S., Jabbour P.M., Tjoumakaris S.I., Gonzales L.F., Rosenwasser Rh., Koch W.J., Dumont A.S.* Curr. Neurovas. Res., 2013.
6. *Strocker, Keanny J.E.* Physiol. Rev., 2004. Okt; 84(4):1381-478.
7. *Vermrij A., Meei-van den Abeelen A.S., Kessels R.P., van Beek A.H., Classen J.A.* Neuroimage. 2013, May 6. S1053-8119(13)00466-7.

## სისხლის და სისხლძარღვის კედლის რედოქს-სტატუსის ასაკობრივი ცვლილებები

*ვ. ყიფიანი, თ. პეტრიაშვილი, თ. სანიკიძე, ნ. პავლიაშვილი,  
ნინო ყიფიანი, მ. თოფურაძე, ნანა ყიფიანი, რ. შენგელია*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) მეთოდით, სპინ ხაფანგების გამოყენებით შესწავლილია ვირთაგეების სისხლის და აორტის ქსოვილის ეპრ-სპექტრები. დადგენილია მიტოქონდრიული სუნთქვის, პრო- და ანტიოქსიდაციური სისტემების, აზოტის ოქსიდის მეტაბოლიზმის ასაკთან დაკავშირებული პროგრესირებადი ცვლილებები.

ნაჩვენებია, რომ დაბერების მექანიზმში მონაწილეობს ქრონიკული ოქსიდაციური სტრესი, აზოტის ოქსიდის მეტაბოლიზმის დარღვევა, ანტიოქსიდაციური სისტემის დაბალი აქტიურობა. რეაქციული ჟანგბადის სიჭარბე, რომელიც თან სდევს ოქსიდაციურ სტრესს და პეროქსიდაციული პროცესებით აზიანებს სისხლძარღვის კედლებს, იწვევს დაბერების პროცესისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

## AGE-RELATED CHANGES IN BLOOD REDOX-STATUS AND BLOOD VESSELS

*V.A. Kipiani, T.G. Petriashvili, T.V. Sanikidze, N.S. Pavliashvili,  
Nino V. Kipiani, M.L. Topuridze, Nana V. Kipiani, R.M. Shengelia*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

EPR spectra of blood and aorta tissues were studied in blood and wall of aorta of the rats under the observation. Progressive changes in mitochondrial breathing, pro- and antioxidant systems of sodium oxide metabolism, related to the animal's age were established.

It was shown that some processes, provoking chronic oxidative stress and nitric oxide metabolism derangements with formation of superoxideradicals, poor activity of antioxidant system, take part in the ageing process.

The excess of reactive oxygen, which accompanies the oxidant stress, injures the wall of blood vessels by peroxidation processes, which are typical for the ageing process.

## პაროდონტის დესტრუქციის და განღვინის იმპანიზოში მონაწილე ძირითადი ფაქტორები და მათი ურთიერთქმედება

ნანა ყიფიანი, ნ. მოსემღვდლიშვილი, მ. ივერიელი, ნინო  
ყიფიანი, მ. ნამორაძე, მ. თოფურძე, ჯ. კუჭუხიძე, ს. ჯაფარიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

პაროდონტიტის დროს პაროდონტის ქსოვილის დესტრუქციისა და განღვინის იმპანიზოში ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმამხრობებელ ფაქტორთა რიგი მონაწილეობს. მათგან უმთავრესია პირის ღრუს დამაზიანებელი მიკროფლორა (რომელიც იწვევს ანთებას), პეროქსიდაციური პროცესები პირის ღრუში სუპეროქსიდანიონრადიკალების ჭარბწარმოქმნითა და ანტიოქსიდაციური სისტემის დეპრესიით, აგრეთვე, აზოტის ოქსიდის შემცველობის მომატებით. ნერწყვისა და პაროდონტულ სითხეში მიმდინარეობს აზოტის ოქსიდის გარდაქმნა პეროქსინიტრიტად, რაც მკვეთრად აზიანებს მიკროპემოციურკულაციას, აქვეითებს პაროდონტის რბილი ქსოვილების რეგენერაციის უნარს. ღრძილის ლორწოვანის უჯრედებში ვითარდება პროაპოპტოზური ცილის p-53-დადებითი სუბსტრატის უკმარისობა, რაზეც მეტყველებს ამ უჯრედების მიტოქონდრიადამოკიდებული ენერგოკენეზის დაქვეითება. ეს კი ხელს უწყობს უჯრედების ნეკროზის განვითარებას.

მკურნალობისთვის ალვის ხის (*Populus nigra*) საფოთლე კვირტებისგან დამზადებული პრეპარატების გამოყენება იწვევს მიტოქონდრიული სუნთქვის ნორმალიზებას, პაროდონტის ქსოვილში მკვეთრად აბრკოლებს ანთებითი პროცესის განვითარებას და ამ გზით ეწინააღმდეგება პაროდონტის ქსოვილის დესტრუქციას და განღვინას, მკვეთრად აუმჯობესებს ღრძილების ქსოვილის ეპრ სპექტრს, მაგრამ სრული ნორმალიზაცია არ აღინიშნება – რჩება პეროქსიდაციის გაძლიერების საშიშროება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ რეკომენდებული პრეპარატები, მათი ძლიერი ანტიოქსიდანტური და ანტიინფლამატორული მოქმედების გამო, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სარეაბილიტაციო სამკურნალო საშუალება გინგივიტისა და პაროდონტიტის დროს.

**საკვანძო სიტყვები:** პაროდონტიტი, პეროქსიდაცია, აზოტის ოქსიდი, პეროქსინიტრიტი, უჯრედების რეგენერაცია

პაროდონტის ქსოვილების ანთებით-დესტრუქციული დაავადება – პაროდონტიტი ხასიათდება განსაკუთრებით ფართო გავრცელებით, ღრძილ-კბილის აპარატის მიმე დაზიანებით, ესთეტიკური დისკომფორტით,

დაავადების მკურნალობის ნაკლებეფექტურობით, მისი ხშირი რეციდივებით. პაროდონტიტის ქრონიზების, გამწვავების მიზეზებია დამაზიანებელი ფაქტორებით პირის ღრუს ქსოვილების მუდმივი ექსპოზიცია და პათოგენეზური მკურნალობის გზების დაუხვეწაობა, რაც პირობადებულია ავადმყოფობის განვითარების მექანიზმების არასრულყოფილი ცოდნით, დაავადების გამომწვევ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ ცნობების უკმარისობით.

წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ შეგვეჯამებინა ამ მიმართულებით ჩვენეული გამოკვლევების შედეგები და გამოგვეტანა გარკვეული დასკვნები პაროდონტიტის განვითარების ინტიმური მექანიზმების და მისი გამომწვევი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

### კვლევის მიზანი

ღრძილის უჯრედებში მიტოქონდრიული სუნთქვითი ჯაჭვის ცვლილებების, აზოტის ჟანგის მეტაბოლიზმის, პრო- და ანტიოქსიდაციური სისტემების ფუნქციონის, ღრძილის უჯრედების რეგენერაციის უნარის, ამ უჯრედების მიტოქონდრიადამოკიდებული ენერგოგენეზის ცვლილებების როლის დადგენა პაროდონტიტის პათოგენეზში. აგრეთვე პაროდონტიტის მიმდინარეობაზე *populus nigras*-ს კვირტებიდან შექმნილი პრეპარატების გაგლენა.

### კვლევის ამოცანები

- პაროდონტიტის დროს პირის ღრუს მიკრობული ფლორის გამოკვლევა;
- პაროდონტიტის დროს ღრძილის ქსოვილში უჯრედის ჟანგვითი პროცესების (მიტოქონდრიული სუნთქვის, ლიპოპეროქსიდაციის) ინტენსივობის და თავისუფალი NO-ს შემცველობის განსაზღვრა;
- პაროდონტიტის დროს ნერწყვში სუპეროქსიდრადიკალების და თავისუფალი აზოტის ჟანგის (NO) შემცველობის განსაზღვრა;
- პაროდონტიტის დროს ღრძილის ქსოვილის მიკრობისტოლოგიური კვლევა;
- ღრძილის ქსოვილში პროაპოპტოზური ცილის p53-ის ექსპრესიის ინტენსივობის განსაზღვრა.

### კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა: ა) ჯანმრთელ ( $n = 25$ ) და პაროდონტიტით დაავადებულ ადამიანებზე ( $n = 82$ ); ცალკე ჯგუფი შეადგინა პაროდონტიტის მძიმე ფორმით ორმოცმა დაავადებულმა; ბ) ჯანმრთელ ( $n = 15$ ) და ა. ვოლოჟინის [1] მეთოდით ექსპერიმენტული პაროდონტიტით დასნებოვნებულ ვირთავებზე ( $n = 30$ ). კლინიკაში შემოსვლისას ავადმყოფებს ეოკვლევდით სტანდარტული გეგმით, დაავადების სიმძიმეს ვაფასებდით მისი კლინიკური გამოვლინებების მიხედვით.

ჯანმრთელი და პაროდონტიტით დაავადებული ვირთაგვების ღრძილის ქსოვილის რეგენერაციის უნარის შესახებ ვმსჯელობდით ღმმ-ს სინთეზის ინტენსივობის მიხედვით, რომელსაც ვაფასებდით ელექტრონულ-ავტორადიოგრაფიული მეთოდით გამოსაკვლევი ქსოვილის რადიაქტიულ  $^3\text{H}$ -თომიდინ-თან  $90$ -წუთიანი ინკუბაციის შემდეგ. ღმმ-ს შექცევულობის შესახებ ვმსჯელობდით წუთში მისი მუხტების რაოდენობის მიხედვით.

ღრძილში ჟანგვითი მეტაბოლიზმის განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (მპრ) მეთოდს. ეპრ სპექტროსკოპული კვლევები ტარდებოდა რადიოსპექტრომეტრზე  $\text{P}\bar{\text{C}}-1307$  თხევადი აზოტის ტემპერატურაზე ( $-196^{\circ}\text{C}$ ).

სისხლში, ღრძილის ქსოვილში, პირის ღრუს და პაროდონტული ჯიბეების სითხეში თავისუფალი  $\text{NO}$ -ს განსაზღვრისთვის ვიყენებდით მის სპინ-ხაფანგს – ნატრიუმის დიეთილდითიოკარბამატს, რომლის სიგნალს ესაზღვრავდით რადიოსპექტრომეტრზე  $\text{P}\bar{\text{C}}-1307$  კომპიუტერული უზრუნველყოფით. მისივე საშუალებით ვიკვლევდით სისხლის და ქსოვილების ეპრ-სპექტრს.

უჯრედების სიცოცხლის უნარიანობის შეფასებისთვის ვიყენებდით იმუნოჰისტოქიმიურ მეთოდს – უჯრედის ბირთვში პროაპოპტოზური მარკერის, ცილა p53-ის გამოვლენას თავვის  $\text{LgG-2b}$  კლასის მონონუკლეარული ანტისხეულების გამოყენებით.

მიღებული შედეგები დამუშავებულია სტატისტიკურად სტიუდენტის  $t$  კრიტერიუმის გამოყენებით.

## კვლევის შედეგები

ცნობილია, რომ პაროდონტიტის პროოციერების მთავარი ინიციატორი ინფექციური აგენტებია [2, 3], მით უფრო, თუ ისინი დაქვეითებული ადგილობრივი იმუნიტეტის ფონზე მოქმედებს [9, 10]. ჩვენი კვლევით კიდევ ერთხელ დადასტურდა პაროდონტიტების ეტიოლოგიაში მიკრობული ფაქტორის ფრიად მნიშვნელოვანი როლი, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია ორგანიზმის იმუნური სისტემის ცვლილებებით: ზოგადი და ადგილობრივი დაცვის ფაქტორების დაქვეითება იწვევს პირის ღრუს დისბაქტერიოზს და, როგორც ამის შედეგს, მიკრობულ აგრესიასა და პაროდონტიტის ქსოვილებში ანთებით-დესტრუქციული პროცესების განვითარებას.

თუ რა ხდება ღრძილის უჯრედებში მიკრობული აგრესიის შედეგად, მოტანილია ცხრილში, რომელშიც ნაჩვენებია ღრძილის ქსოვილის ელექტრონულ-პარამაგნიტური სიგნალები ნორმაში და სხვადასხვა სიმძიმის პაროდონტიტების დროს. როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო და, მით უფრო, მძიმე პაროდონტიტის დროს ვითარდება ელექტრონების ტრანსპორტის დარღვევა – უბიქინონოქსირედიქტაზულ უბანზე, რასაც თან სდევს ჰიპეროქსიდრადიკალების ჭარბწარმოქმნა. მცირდება თავისუფალრადიკალური სიგნალის ინტენსივობა, გროვდება უბიქსემიქინონები. ეს

ცვლილებები კი უზრდელში ენერგოგენეზს აქვეითებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პაროდონტიტის დროს ადგილი აქვს მიტოქონდრიული სუნთქვის ჯაჭვში ელექტრონული ტრანსპორტის შეფერხებას, ენერგოგენეზის ინტენსივობის დაქვეითებას, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსიფიკაციას, მემბრანული სტრუქტურების რღვევას.

ცხრილი

**ჯანმრთელი ადამიანების და სხვადასხვა სიმძიმის პაროდონტიტებით დაავადებული ადამიანების ღრძილის ქსოვილის ელექტროლ-პარამაგნიტური ცენტრების სივანალები**

	თავისუფალ-რადიკალური ცენტრები g = 2.00		FeS g = 1.94	FeS-NO g = 2.03	Mn <sup>2+</sup> -ის შემცველი კომპლექსები g = 2.14	Mo <sup>5+</sup> -ის შემცველი კომპლექსები g = 1.97
	I	ΔH				
ჯანმრთელი ადამიანები (n = 25)	30 ± 0.9	12.3 ± 0.3	20.4 ± 0.26	-	4.93 ± 0.2	-
საშუალო სიმძიმის პარადონტიტით დაავადებულნი (n = 25)	40.0 ± 1.2	8.0 ± 0.4	40.29 ± 0.34	1.6 ± 0.02	7.0 ± 0.3	3.02 ± 0.2
			p < 0,001		p < 0,001	
მძიმე ხარისხის პარადონტიტით დაავადებულნი (n = 25)	12.0 ± 0.8	7.0 ± 0.4	12.52 ± 0.24	5.0 ± 0.35	9.45 ± 0.06	6.88 ± 0.07
			p < 0.001		p < 0.001	

**აზოტის ოქსიდი.** პაროდონტიტით ავადმყოფთა პირის ღრუს სითხეში აღინიშნა აზოტის ოქსიდის შემცველობის სტატისტიკურად სარწმუნო მომატება. ამასთანავე, გამოვლინდა კორელაცია მის ზრდას და პაროდონტიტის სიმძიმეს შორის: პაროდონტიტის მსუბუქი ფორმის დროს NO-ს მატება შეადგენდა ნორმის (12 mmSmg) 25%-ს (p < 0.001), საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს – 50%-ს (p < 0.001), მძიმე ფორმის დროს – 100%-ს (p < 0.001).

პაროდონტული ჯიბის სითხესთან კონტაქტისას ნატრიუმის დიეთილ-კარბამატით დასველებული ფილტრის ქაღალდი იძლეოდა ინტენსიურ მარ-სიგნალს, რომელიც ქაღალდის ამგვარი წინასწარი დამუშავების გარეშე პაროდონტული ჯიბის სითხესთან კონტაქტისას არავითარ სიგნალს არ იწვევდა. ლოგიკურია დავასკვნათ, რომ რეგიტრირებადი სიგნალი (რომელიც პირველად ნ. ყოფიანის მიერაა დაფიქსირებული) აზოტის ოქსიდს (NO) ეკუთვნის. ამ სიგნალის ინტენსივობა პაროდონტიტის მძიმე

ფორმის დროს ორჯერ უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, დაკავშირებულია NO-ს გამოყოფასთან ლეიკოციტების მიერ გაძლიერებული ფაგოციტოზის დროს.

ამრიგად, პაროდონტიტის სიმძიმის ზრდის პარადელურად პირის ღრუს და პაროდონტული ჯიბის სითხეში აზოტის ოქსიდის შემცველობა მნიშვნელოვნად მატულობს, რაც არ შეიძლება ითქვას ამ ნივთიერების შემცველობის შესახებ ღრძილის ქსოვილში. პაროდონტიტის მსუბუქი ფორმის დროს ნიტროოქსიდის რაოდენობა ღრძილის ქსოვილში ნორმასთან შედარებით პრაქტიკულად არ იცვლება, საშუალო სიმძიმის პაროდონტიტის დროს ის მცირდება მკვეთრად საკონტროლო სიდიდის 50%-ით ( $p < 0.001$ ), ხოლო მძიმე ფორმის დროს – 67%-ით ( $p < 0.001$ ), რაც უნდა იწვევდეს ღრძილის სისხლმომარაგების შემცირებას, ადგილობრივი იმუნიტეტის და ანტიმიკრობული რეზისტენტობის დარღვევას, ამიტომ ანთებითი პროცესი ღრმავდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიკრობიოციდული ეფექტის შემცირება.

ჩვენმა გამოკვლევებმა გამოავლინა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი ფაქტი – ღრძილის ქსოვილში თავისუფალი NO-ს შემცველობის მკვეთრი შემცირების ფონზე მნიშვნელოვნად მატულობს მისი რაოდენობა ნერწყვში, პირის ღრუს და პაროდონტული ჯიბეების სითხეში. მაგრამ უფრო ღრმა ანალიზი აბათილებს ამ მოჩვენებით შეუსატყვისობას. პაროდონტიტის დროს ღრძილის ქსოვილში აზოტის ოქსიდის შემცველობის ჩვენ მიერ გამოვლენილი დაქვეითება NO-ს სინთეზის გაძლიერებისკენ საერთო ტენდენციის ფონზე, ასხნილ უნდა იქნას მიტოქონდრიული FeS ჯგუფების ნიტროზილებით [5]. ეს პროცესი, ერთი მხრივ, ამცირებს NO-ს დადებით ეფექტებს, მეორე მხრივ კი იწვევს მიტოქონდრიების სუნთქვით ჯაჭვში ელექტრონების გადამტანთა ინაქტივაციას. ამის შედეგად, ორდგევა უჯრედული სუნთქვა და ჟანგვითი ფოსფორირება, რაც შემთხვევებში ვითარდება ქსოვილების ინდუცირებული ნეკროზი. ნაწილობრივ მაინც, ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული უჯრედების ნეკროზი და ღრძილების განღვევა პაროდონტიტის დროს.

ღრძილის ქსოვილის თავისუფალი NO-ს მეორე ნაწილი ურთიერთქმედებს პაროდონტიტისთვის დამახასიათებელ სუპეროქსიდანიონთა ჭარბ რაოდენობასთან [5] ძლიერი ტოქსიკური პეროქსინიტრიტის წარმოქმნით. ეს ნივთიერება არღვევს მემბრანულ სტრუქტურებს, აზიანებს ფერმენტულ კომპლექსებს, იწვევს NO-ინდუცირებულ ნეკროზს და აპოპტოზს. ის ხელს უწყობს, აგრეთვე, ელასტაზას და კოლაგენაზას გათავისუფლებას, რაც იწვევს პაროდონტის კოლაგენური ბოჭკოების ღიზისს, ქსოვილში შეუქცევადი პროცესების განვითარებას.

ამრიგად, პაროდონტიტის შედარებით მძიმე მიმდინარეობის დროს იქმნება პირობათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ღრძილის ქსოვილის დაზიანების და განღვევისკენ. ყოველივე ამას ემატება ჩვენ მიერ ავტორადიოგრაფიული მეთოდით დადგენილი ღრძილის უჯრედების რეგე-

ნერაციის დაქვეითება. ჯანმრთელი და პაროდონტიტიანი ვირთავეების ღრძილის და ყბის ძვლის ალვეოლური მორჩის ქსოვილის ავტორადიოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა, რომ, პაროდონტიტიან ცხოველებში წუთში, შესაბამისად, 316% და 30.6%-ით მცირდება ღნმ-ში 3H-თიმიდინის ჩართვა, მათი მუხტების რაოდენობა, რაც ნათლად მეტყველებს ღრძილის ქსოვილის რეგენერაციის სერიოზულ დაქვეითებაზე. ეს, ნაწილობრივ მაინც, კვლავ თავისუფალი ნიტროქსიდის უკვე კონსტატირებულ დეფიციტთანაა დაკავშირებული.

ცხადია, რომ პაროდონტის ქსოვილების დესტრუქციის, ნეკროზის [6, 11] და განღვევის მექანიზმში მისი ანთების დროს ჩვენ არ გამოვრიცხავთ სხვა ფაქტორების და პროცესების მონაწილეობასაც, მაგრამ მივიჩნევთ, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები და მოსახრებები ყველა შემთხვევაში სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

**პისტოლოგიური კვლევა.** ჩვენს კვლევებში ჯანმრთელი პირების ღრძილის ლორწოვანი გარსის შესწავლისას მრავალშრიან ბრტყელ ეპითელიუმში ცილა p53-ის მიმართ დადებითი ბირთვები გამოვლინდა მარცვლიანი და წვეტიანი შრის ერთეულ უჯრედებში.

ბაზალური შრის ეპითელურ უჯრედებში, რქოვანა შრეში, p53-დადებითი სუბსტრატები არ გამოვლინდა. სუბეპითელური შემაერთებელი ქსოვილის უჯრედულ კომპონენტებში p53 დადებითი სუბსტრატები ასევე არ აღმოჩნდა. უჯრედული ელემენტები – ფიბრობლასტები, ლიმფოციტები, პოხიერი უჯრედები და მაკროფაგები შეიცადნენ ჰემატოქსილინით შეღებილი ჩვეული სიმკვრივისა და ფორმის ბირთვაკებს. აღნიშნული შედეგები მეტყველებს ჯანმრთელი ღრძილის ქსოვილში p53-დამოკიდებული აპოპტოზის დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობის შესახებ.

მიიმე პაროდონტიტის დროს ღრძილის ლორწოვანი გარსის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის როგორც გერმინაციული, ასევე მარცვლოვანი და რქოვანა შრის უჯრედები არ შეიცავს p53 დადებით სუბსტრატს. რეაქცია უარყოფითია სუბეპითელიუმის, შემაერთებელი ქსოვილის უჯრედულ ინფილტრატსა და სისხლძარღვთა კედლის ენდოთელიოციტებშიც. გამოვლენილია ანთების ინფილტრატების და ეპითელიოციტების დისქვამაციისა და ნეკროზის უბნები. აღნიშნულ უბნებში არსებული უჯრედები და მათი ბირთვები ავლენენ უარყოფით რეაქციას p53 ცილაზე.

## ზოგადი დასკვნა

სრულიად ნათელია პაროდონტიტის განვითარებაში პირის ღრუს მიკროფლორის როლი. მიკრობების ინვაზია პაროდონტის ქსოვილებში უზრუნველყოფს ანთებითი პროცესების განვითარებას, ლოკალურად ლიმფოციტების და მაკროფაგების დაგროვებას და პროანთებითი ციტოკინების, ზრდის ფაქტორების და ქანგზადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებულ პროდუქციას. განვითარებული ოქსიდაციური სტრესი არღვევს ელექტრონულ სატრანსპორტო ჯაჭვს, ამცირებს ენერგოგენეზს, იწვევს



აპოპტოზის და ნეკროზის განვითარებას. უჯრედების დაზიანებას იწვევს, აგრეთვე, NO-ს პეროქსინიტრიტად გარდაქმნა, რაც მიტოქონდრიული სატრანსპორტო ცილების ნიტროზილირების შედეგია. ოქსიდაციური სტრესს და NO-ს უმარისობას ღრძილის ქსოვილში მოჰყვება ცილა p53-ის ექსპრესიის დაქვეითება ღრძილის ქსოვილში, რაც არღვევს უჯრედული ციკლის რეგულაციას და უჯრედების ტერმინალურ დიფერენციაციას [8]. უჯრედების ნეკროზის განვითარებას ხელს უწყობს ოქსიდაციური სტრესით ინდუცირებული მიტოქონდრიადამოკიდებული ენერგოგენეზის მკვეთრი დაქვეითება. ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებულმა არაკომპენსირებადმა (ანტიოქსიდაციური სისტემის მიერ) წარმოქმნამ შეიძლება განაპირობოს პირის ღრუს ქსოვილებში თავისუფალრადიკალური ჟანგვის ჯაჭვური პროცესების განვითარება, უჯრედული და სუბუჯრედული მემბრანების რღვევა, ფერმენტული კომპლექსების და სისტემების ფუნქციონის მოშლა, რაც რეაქციული ჟანგბადის დამატებით გენერაციას და ლოკალური ოქსიდაციური სტრესის გაძლიერებას უწყობს ხელს. უკანასკნელი კი იწვევს პაროდონტის ქსოვილების სასიცოცხლო ციკლის დარღვევას და ქსოვილის დესტრუქციას.

პაროდონტიტის სამკურნალოდ ჩვენ გამოვიყენეთ *populus nigra*-ს საფოთლე კვირტებისგან მომზადებული საცხი [7], რომელსაც აქვს ანტი-მიკრობული, ანტიოქსიდაციური და ანტიანთებითი თვისებები. მკურნალობის ტრადიციულ საშუალებებთან ერთად ასეთმა ზემოქმედებამ მკვეთრად დააბრკოლა პაროდონტიტის განვითარება.

## ლიტერატურა

1. *Воложин А.И., Виноградова С.И.* Стоматология, 1991, 4, 10-12.
2. *Григорян А.С.* Стоматология, 1999, 1, 16-20.
3. *Грудянов А.И.* Антимикробная и противовоспалительная терапия в пародонтологии. М., 2004, 840 с.
4. *Kutiani H.B.* Internat. J. of Immunorehabilitation, 2000, 2, 291-292.
5. *Kutiani H.B.* Аллергология и иммунология, 2005, 6, 4, 523-526.
6. *Crawford J.M., Wilton J.M., Richardson P. J.* Periodontol., 2000, 71(7), 1121-9.
7. *Kuchuchidze J., Favel A., Regli P., Kipiani N.* First Internat. Pharmaceutical Congress. Tbilisi, 2002, 49-50.
8. *Mosemgvlishvili N., Gogishvili L., Jangavadze M.* Ann.of biomed. research and Education, 2006, 15, Issue 1, 72-73.
9. *Murakami S., Hino E. J.* Dentres, 1999, 78(1), 69-76.
10. *Seymour A.L. J.* of Periodontal Research, 1993, 5, 478-486.
11. *Steinsvoll S.* Tidsskr Nor Laegeforen, 2006, 23, 126(5), 613-4.

## ОСНОВНЫЕ ФАКТОРЫ, УЧАСТВУЮЩИЕ В МЕХАНИЗМЕ ДЕСТРУКЦИИ И ИСТОЩЕНИЯ ПАРОДОНТА

*Нана В. Кипиани, Н. Мосемгвдlishvili, М. Ивериели, Нино В. Кипиани,  
М.Ш. Наморадзе, М.Л. Топуридзе, Ж. Кучухидзе, С.А. Джaparидзе*

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

Недостаточность р-53 – положительного субстрата в слизистой десен при тяжелом пародонтите свидетельствует о нарушении терминальной дифференциации клеток десен. При этом вызванное оксидационным стрессом митохондрий-зависимое падение энергогенеза способствует повышению интенсивности некроза клеток.

Применение препаратов лиственных почек тополя *Populus nigra* нормализует митохондриальное дыхание, снижает проявления воспаления, резко улучшает ЭПР спектр ткани десен, однако полной нормализации не происходит – остается опасность нарастания пероксидации. Несмотря на это, очевидно, что предложенные нами препараты, ввиду их мощного антиоксидантного и противовоспалительного действия, могут быть рекомендованы как эффективные реабилитационные лечебные средства гингивита и пародонтита.

## MAJOR FACTORS INVOLVED IN PERIODONTAL DESTRUCTION AND THE WASTING MECHANISM, THEIR INTERACTION

*Nana Kipiani, N. Mosemghvdlishvili, M. Iverieli, Nino Kipiani, M. Namoradze,  
M. Topuridze, J. Kutchukhidze, S. Japaridze*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

The interrelated and mutually conditioned number of factors are involved in the destruction of periodontal tissue and wasting mechanism during the parodontitis. The most important one is a very harmful micro flora (which causes the inflammation), peroxidation processes in the mouth with the excess generating of superoxide anion radicals, antioxidant system depression, as well as increase nitric oxide content in saliva and periodontal liquids. The nitric oxide is converted into peroxynitrite which significantly affects the micro hemocirculation, reduces the ability of periodontal soft tissue regeneration. The p53 positive substrate failure is developed into gingival mucosal cells as evidenced the decreased energy genesis of mitochondria dependent of these cells. This will contribute to the development of cell necrosis.

The medication made of *Populus nigra* is used for the treatment of periodontal tissue and dramatically reduces the inflammatory process in the periodontal tissue destruction and wasting mechanism.

## **ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირის დამოკიდებულება სპორტსმენის ასაკზე, კვალიფიკაციასა და სპეციალიზაციაზე**

*კ. ზვედელიძე, მ. მნათობიშვილი*

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, თბილისი

კვლევის პროცესში გამოიკვეთა მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირის მაჩვენებლების დამოკიდებულება სპორტსმენის ასაკზე, თუმცა აღნიშნული მაჩვენებლის ცვლილება სხვადასხვა ასაკში არათანაბარი ტემპით ხდება. მაგალითად, თუ 17 წლის ასაკამდე ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად სწრაფად იზრდება, 17 წლის ასაკის შემდეგ ზრდა უმნიშვნელოა. მაქსიმუმს კი მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე 22 წლის ასაკში აღწევს. აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად და დამოკიდებული სპორტსმენის გაწვრთნილობის დონეზე და გაწვრთნილობის ერთერთ მაჩვენებელადაც კი შეიძლება იყოს გამოყენებული.

**საკვანძო სიტყვები:** ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე, სპორტსმენი, ასაკი, გაწვრთნილობა

ადამიანის სხვადასხვა კუნთური ჯგუფების მოძრაობის მაქსიმალური სიხშირე სხვადასხვა ავტორების მიერ იყო შესწავლილი, რომლებმაც აჩვენეს, რომ მოძრაობის სიხშირე უფრო მაღალია მარჯვენა მხარეს და იგი მატულობს გაწვრთნილობისა და ასაკის ზრდასთან ერთად.

მოძრაობის მაქსიმალური სიხშირის პიროვნების ასაკის ზრდასთან დამოკიდებულების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ა. სიომკინის მიერ მიღებული მონაცემები [5].

### **ცდის პირები და მეთოდები**

ჩვენი მიზანი იყო თითის მოძრაობის მაგალითზე შეგვესწავლა კუნთური მოძრაობის მაქსიმალური სიხშირის ცვლილება ასაკთან და სპორტსმენის გაწვრთნილობასთან დაკავშირებით და გამოგვევლინა ამ მოძრაობის მაქსიმალური ტემპის ხანგრძლივი დროით შენარჩუნების უნარი. ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოყენებული იყო ჩვენ მიერ კონსტრუირებული ხელსაწყო (ხელსაწყო აღწერილია სადისერტაციო ნაშრომში: “სხვადასხვა კვალიფიკაციის სპორტსმენთა კარდიო-რესპირა-

ტორული და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დინამიკა წვრთნისა და შეჯიბრის დროს”, თბილისი, 2003), რომელიც იძლევა მოძრაობის მაქსიმალური სიხშირის ელექტრო აღმრიცხველზე რეგისტრაციის საშუალებას. მოძრაობის მაქსიმალურ სიხშირეში იგულისხმება 10 წამის განმავლობაში დილაკზე თითის მაქსიმალური სიხშირით დაჭერა. ყველა მოძრაობა სრულდება სანქვებელი თითით, მინიმალური ამპლიტუდით მიღებული შედეგები დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით.

## შედეგები და ათი განხილვა


ჩვენ მიერ მიღებული შედეგების თანახმად, ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე ასაკთან ერთად გაუმდუმებით იზრდება და მაქსიმუმს 20-22 წლის ასაკში აღწევს. ასე, მაგალითად, თუ 7-8 წლის ბავშვებში ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირის მაჩვენებელი 10 წამში 25 მოძრაობას შეადგენს, ხოლო 10 წლის ასაკში მაჩვენებელი სწრაფად იზრდება და აღწევს  $34 \pm 5$  მოძრაობას 10 წამში. სხვაობა 7-8 და 10 წლის ბავშვებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა ( $p < 0.001$ ). 13-14 წლის მოზარდებში აღინიშნება ამ მაჩვენებლის უფრო მნიშვნელოვანი ზრდა და იგი 10 წამში 55-59 მოძრაობას აღწევს. ეს მონაცემებიც სტატისტიკურად სარწმუნოა.

ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე 17 წლის მოკრივეებში შეადგენს 62-64 მოძრაობას. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ 17 წლამდე აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა ასაკთან ერთად საკმაოდ მაღალი ტემპებით მიმდინარეობდა, 17 წლის ასაკის შემდეგ ზრდა უმნიშვნელოა და 20-22 წლის ასაკისათვის 64-69 მოძრაობას აღწევს, ხოლო 22 წლის შემდეგ იწყება გაიშვიათება და 27-30 წლის ასაკისთვის ეს მაჩვენებელი 60-62 მოძრაობამდე მცირდება.

ასაკის მატებასთან ერთად ხდება მაქსიმალური სიხშირით მოძრაობის შენარჩუნების უნარის გარკვეულწილად შემცირება. ასე, მაგალითად, 7-8 წლის ასაკში ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე მე-10-ე ათი წამის განმავლობაში პირველ ათწამიან მონაკვეთთან შედარებით შემცირდა  $70.03 \pm 6.2\%$ -ით. 10 წლის ბავშვებში შემცირება შეადგენს  $73.16 \pm 5.11\%$ , ხოლო 12-13 წლის ასაკში –  $80.46\%$ -ს. ასეთი კანონზომიერება შეინიშნება არასპორტსმენებისა და დამწყები სპორტსმენების მაგალითზე. კარგად გაწვრთნილ სპორტსმენებში კი ასაკის მატებას უმეტესწილად თან სდევს გაწვრთნილობის დონის ზრდაც, რაც ასაკის მატებასთან ერთად ამ მაჩვენებლის შემცირების კომპენსაციას ახდენს.

განვიხილოთ ამ მაჩვენებლის სხვაობა სხვადასხვა კვალიფიკაციის მოკრივეებში (სურ. 1).

17 წლის დამწყებ სპორტსმენებში აღნიშნული მაჩვენებელი 10 წამში 64-66 მოძრაობას შეადგენდა, საშუალო კვალიფიკაციის მოკრივეებში – 66-70 მოძრაობას, ხოლო მაღალი კვალიფიკაციის მოკრივეებში 70-73 მოძრაობამდე იზრდება.



ხურათი 1. ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირის ცვლილება სხვადასხვა კვალიფიკაციის მოკრივეებში

მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებს შეუძლიათ შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნონ მოძრაობის მაქსიმალური ტემპი. ასე, მაგალითად, დაბალი კვალიფიკაციის მოკრივეებში შემცირება მე-10-ე 10 წამიან მონაკვეთში პირველ 10-წამიან მონაკვეთთან შედარებით  $81.52 \pm 11.5\%$ -ს შეადგენდა, ხოლო მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში  $68.57 \pm 7.007\%$ -ს არ აღემატება. გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდა აღნიშნული მაჩვენებლის შესწავლა სპორტის ისეთ სახეობაში, რომელშიც ზედა კიდურების ფუნქციურ შესაძლებლობებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენს შემთხვევაში სპორტის ასეთ სახეობად შერჩეული იყო ფეხბურთი.

რაიმე კანონზომიერი სხვაობა ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირის მაჩვენებლებში ფეხბურთელებსა და მოკრივეებს შორის შემჩნეული არ ყოფილა. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ფეხბურთელებში დაფიქსირებული მაჩვენებლები (ცალკეულ შემთხვევებში 90-95 მოძრაობა 10 წამში) აღემატებოდა მოკრივეების მაჩვენებლებს. თუმცა, მოძრაობის მაქსიმალური ტემპის ხანგრძლივი დროით შენარჩუნების უნარი მოკრივეებში მეტია. მაგრამ ასეთი სხვაობა უმნიშვნელო და სტატისტიკურად არასარწმუნოა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი სპორტსმენებში დამოკიდებულია არა იმდენად სპორტსმენის სპეციალიზაციაზე, რამდენადაც სპორტსმენის ორგანიზმის საერთო ფუნქციურ მდგომარეობაზე. გაწვრთნილობის დონის ზრდასთან ერთად აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება როგორც მოკრივეებში, ასევე ფეხბურთელებში, თუმცა ერთი და იგივე ასაკისა და კვალიფიკაციის მოკრივისა და ფეხბურთელის (ჩვენი მონაცემებით) მაჩვენებლები, მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ეს ორი სახეობა თავისი სპეციფიკით მკვეთრად განსხვავდებულია, უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

მიღებული შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე იზრ-

დება ასაკის მატებასთან ერთად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი ზრდა ასაკთან დაკავშირებით არ ატარებს წრფივ ხასიათს და ახასიათებს კარგად გამოხატული ინდივიდუალობა. მოძრაობის მაქსიმალური სიხშირე, რომელიც იზრდება ასაკის მატებასთან ერთად, თავის მაქსიმალურ მანევრებელს აღწევს 20-22 წლის ასაკში. ამასთან ერთად, მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე დამოკიდებულია სპორტსმენის გაწვრთნილობის დონეზე. თავის მხრივ, გაწვრთნილობის ზრდა ხელს უწყობს ელემენტარულ მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირის ხანგრძლივი დროით შენარჩუნების უნარს და ასეთი ტენდენცია დამახასიათებელია ყველა ასაკისთვის. ამიტომ, მოძრაობათა მაქსიმალური სიხშირე მოძრაობითი რეაქციის ფარულ პერიოდთან ერთად შეიძლება იყოს სპორტსმენის გაწვრთნილობის ერთ-ერთი მანევრებელი, განსაკუთრებით სპორტის ისეთ სახეობებში, სადაც სისწრაფეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და საწვრთნო პროცესი მისი განვითარებისკენაა მიმართული.

### ლიტერატურა

1. ნარიკაშვილი ს. ადამიანის კუნთური მოქმედების შესწავლის ზოგიერთი შედეგი. მე-18-ე სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. თბილისი, 1959, გვ. 22-24.
2. ნიტაშვილი დ. სპორტსმენთა კარდიო-რესპირატორული და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ანალიზი ფიზიკური დატვირთვის პირობებში. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 1996.
3. ხვედელიძე კ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2000, ტ. 26, 4-6, გვ. 529.
4. Коробков А.В. Исследование взаимосвязи развития физических качеств и обучения технике видов лёгкой атлетики. Канд. Дисс. Москва, 1964.
5. Семкин А.А. Изменения временных и силовых параметров движения у школьников и взрослых спортсменов. В материалах XI Всесоюзной конференции, 1970, стр. 383-384.

## ЗАВИСИМОСТЬ МАКСИМАЛЬНОЙ СКОРОСТИ ЭЛЕМЕНТАРНЫХ ДВИЖЕНИЙ ОТ ВОЗРАСТА, КВАЛИФИКАЦИИ И СПЕЦИАЛИЗАЦИИ СПОРТСМЕНА

К. Хведелидзе, М. Мнатобишвили

Академия физического воспитания и спорта, г. Тбилиси

### РЕЗЮМЕ

В процессе исследования выявилась зависимость показателя частоты элементарных движений от возраста спортсмена. Но изменения данного показателя происходят неравномерно в разном возрасте. Например, если до 17 лет этот показатель растет быстро, то после 17-летнего возраста прирост незначительный. Максимального же показателя частота элементарных движений достигает в возрасте 22 лет. Этот показатель зависит и от уровня тренированности спортсмена и может быть использован как один из показателей тренированности.

## DEPENDENCE OF THE MAXIMUM SPEED OF ELEMENTARY MOVEMENTS ON THE AGE, QUALIFICATION AND SPECIALIZATION OF SPORTSMEN

*K. Khvedelidze, M. Mnatobishvili*

Georgian Academy of Physical Education and Sport, Tbilisi

### SUMMARY

During the research, dependence of maximum frequency index of movements on sportsmen's age was revealed, though the variation of the noted indices is unequally presented in various ages. For example, if this index quickly increases at the age of 17 together with the age, this growth is insignificant after the age of 17. The maximum index of frequency index of movements is reached at the age of 22. This index significantly depends on the training level of the sportsmen and it may even be one of the characteristic features of sportsmen's training in general.

## **რესპირატორული სისტემის მანევრებლები სხვადასხვა კვალთმობის მოკრივეებში საფეხურებრივად მზარდი ღაჭვირთვის დროს**

*კ. ხვედელიძე, მ. მნათობიშვილი*

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, თბილისი

ცნობილია, რომ ვარჯიშის დაწყებამდე სასუნთქი კუნთების დაღლის ინდექსების შედგენად მცირდება გამძლეობის ხანგრძლივობის მანევრებელი. არასპორტული ცხოვრების წესის მიმდევრებშიც კი ვარჯიშის გზით შესაძლებელია სასუნთქი კუნთების ფუნქციის 62-75%-ით გაუმჯობესება. როგორც წესი, სისტემატურად მოვარჯიშე სპორტსმენებს ორგანიზმის მაღალ გამძლეობასთან ერთად გააჩნიათ კარგად გავარჯიშებული სასუნთქი კუნთები. ამის მიუხედავად, დამატებითი ვარჯიშის გზით შესაძლებელია სასუნთქი კუნთების ფუნქციონის ეფექტურობის შემდგომი მატება. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ სასუნთქი სისტემის ფუნქციონის გაუმჯობესების თვალთახვევით არსებობს გარკვეული ფიზიოლოგიური სივრცე. სწორედ ამ სივრცის ათვისება ხდება, როგორც წესი, ინტენსიური და მიზანდასახული ვარჯიშებით, რაც კარგად ჩანს ზემოთ განხილულ გაწვრთნილ და დამწყებ სპორტსმენებზე დაკვირვების შედეგებში.

**საკვანძო სიტყვები:** რესპირატორული სისტემა, სპორტსმენი, ასაკი, გაწვრთნილობა

სპორტსმენტთა კარდიო-რესპირატორული სისტემის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგანი სუნთქვის სისტემის ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევას [5]. ეს გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ფიზიკური დატვირთვებისადმი სასუნთქი სისტემის ადაპტაციის უნარი [1-4].

### **ცდის პირები და მეთოდები**

ჩვენი გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა სიმძლავრის დატვირთვებისადმი სასუნთქი სისტემის რეაქციის შესწავლა.

